ISSN 0321—1509

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

645/2
1992

6•1992



- ქალი სიყვარულისა
- ასეთი უჩვეულო ჩვეულებრივი ცხოვრება
- ქართველი ქალი — პარიზის საპატიო მოქალაქე
- ანა კალანდაძის ლექსები
- ეჭვიანთ? — შეიკავეთ!
- როგორ განვავითაროთ ბავშვი გონებრივად?
- ცოლი+ქმარი=?
- ოჯახური ურთიერთობის ანბანა
- თბილისელები ოხუნჯობენ

საქართველოს რესპუბლიკის
ჟურნალი ქალებისა და
ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

ნანი თარხანაძე,

ლია კაკაბაძე
(პასუხისმგებელი მდივანი),

ნანა კილასონია,

ლაშა კიკალეიშვილი,

ბუჩა კვარაცხელია,

ცინარა ტერელაძე
(მხატვრული რედაქტორი),

ირმა ჩოფიკაშვილი,

ნინო ჯავახიშვილი,

ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე —
მამაშვილობა;
მეოთხეზე — მოქანდაკე ნინო
ხურციძე.
რენა ლალიძის ფერადი სლაიდები.

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთე-
ბის გამომცემლობა „სამშობლო“.
მ. კოსტავას ქ. № 14

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman
a Magazine for Women of the
Republic of Georgia



ასე აღნიშნეს თბილისელებმა საქართველოს
დამოუკიდებლობის დღე

დ. იაკობაშვილის ფოტორეპორტაჟი

# იმედი დადის





# 1992 წელი, 26 მაისი

# საქართველოში



სიცოცხლე სიყვარულით იწყება

# ძალა სიყვარულისა

## წერილი მეორე

**კაცობრიობის ისტორიას ადამიანის აზროვნების ძალმოსილების დაღი აზის. მან ცხოვრება ქვითა და კეტით დაიწყო და თანამედროვე კომპიუტერულ ტექნიკამდე მოვიდა. მაგრამ აზროვნება ხომ მხოლოდ იარაღია, რომლითაც ადამიანი შეიცნობს, ემსახურება გარემოს, ისიც ხომ სწორია, რომ თვით ადამიანი საკუთარ თავს მხოლოდ „მოაზროვნე ცხოველად“ როდი თვლის.**

**მაშ, რა არის ძალა, რომელიც ადამიანის განვითარებას უფრო მეტად უწყობს ხელს, ვიდრე „ყოვლისშემძლე“ ლოგიკური აზროვნების უნარი? პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს ძალა სიყვარულშია.**



ადამიანი ცხოველივით კვების, თავდაცვისა და გამრავლების ინსტინქტით იბადება. ამიტომ სიყვარულზე ადრე შიშის, სიძულვილისა და შურის გრძნობები უნდა გაჩენილიყო. სიყვარული, როგორც ცხოველური „დედობრივი ინსტინქტი“, მერე უნდა გამოვლენილიყო, რადგან გამრავლების ფუნქცია ორგანიზმის ზრდის დასრულების შემდეგ იჩენს თავს. გამოდის, რომ პირველყოფილ ადამიანს სიყვარული არ უნდა სცოდნოდა. ცხადია, რომ უხსოვარ დროს არ იყო ინდივიდუალური სიყვარული დღევანდელი გაგებით, მაგრამ რატომ აიღეს ხელი მრავალცოლიანობაზე ან სამნახევარი ათასი წლის წინათ ეგვიპტეში ვინ გამოაქანდაკა ნეფერტიტის სახე, რომელშიც სულის ისეთი სიმაღლე იკითხება, რომ ყოვლად შეუძლებელია მისი შემქმნელისათვის სიყვარულის გრძნობა უცნობი ყოფილიყო. განა საუკუნეთა წიაღიდან არ გვაოცებს მცხეთაში ნაპოვნი საფლავის ქვის წარწერა: — ზევახ, სიყვარულო ჩემო!

ადრეული ანტიკური ეპოქიდან მომდინარეობს მითი, რომ ზევსი ხარად გადაიქცა, რათა ევროპას შეუღლებოდა, ხოლო პოსეიდონი ცხენად, რათა მედუზასთან ექცხოვრა და ფრთოსანი რაში, პეგასი გაჩენილიყო. იგივე ზევსმა ალკმენესთან სასიყვარულოდ მისულმა, მისი ქმრის, ამფიტრიონის სახე მიიღო და ჰერაკლე დაიბადა. ამგვარ ფანტასტიკურ გარდასახვებსა და პოეტურ მეტამორფოზებში აისახა ძველი ბერძნების შეხედულება სიყვარულზე, რომელიც მხოლოდ ცხოველური საწყისის სურვილითა და ჟინით წარიმართება. გრძნობათა განვითარების ამ საფეხურზე არ არსებობდა სიყვარულისათვის აუცილებელი საპასუხო განცდის მოთხოვნილება.

თუ ბერძნულ მითოლოგიაში ღმერთები სასიყვარულოდ ცხოველებად ან კანონიერ ქმრებად გარდაიქმნებოდნენ, რათა „ცხოველური აქტი“ — სიყვარული განეხორციელებინათ, რაც შესაძლოა, მათს გარკვეულ ზნეობრივ შეგნებაზეც მიუთითებდეს, კაცობრიობის ისტორიას ამა ქვეყნის ძლიერთა „სრული გამხეცების“ პერიოდიც ახსოვს. რომის უკანასკნელი იმპერატორები ადამიანის მორალური გადაგვარების უკიდურეს პათოლოგიურ მაგალითებსაც აჩვენებდნენ. კალიგულა დას აუპატიურებდა, ხოლო ნერონი — საკუთარ დედას.

რომის იმპერია დაინგრა. ამ დასასრულს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზები ჰქონდა. ამ მიზეზთა შორის ვერავინ უარყოფს ზნეობრივი გადაგვარების ფაქტორს და ვინ იცის, იქნებ ეს ფაქტორი იყო უფრო მნიშვნელოვანი?

მამინდელი ისტორიული ეპოქა ქრისტეს დაბადებით დამთავრდა. ქრისტიანობა მომდინარეობს, როგორც საყოველთაო სიყვარულის რელიგია, რომლის შესახებაც შემდეგ წერილში ვისაუბრებთ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სიყვარულის თემა ძველბერძნულ ტრაგედიებში, რადგან ამგვარი სახით ის აღარასოდეს განმეორებულა ხელოვნებაში. სიყვარული ამ ტრაგედიათა ძირითადი მამოძრავებელი ძალაა, მაგრამ არა როგორც ადამიანური განცდა, არამედ როგორც ბედისწერა. ტრაგედიაში ნაჩვენებია არა საკუთრივ სიყვარული, არამედ მისით გამოწვეული შედეგი — შიში, ტანჯვა, ღალატი და სიკვდილი, აი, რა არის ამ ტრაგედიათა ლაიტმოტივი. მედეა, რომლის სიყვარულიც იაზონმა უარჰყო, შურისსაძიებლად საკუთარ შვილებს ხოცავს. ფედრა, რომელმაც საკუთარი გერი, იპოლიტე შეიყვარა, თავს იკლავს, ხოლო თეზევსი, ფედრას ქმარი, იპოლიტეს ანადგურებს.

ოიდიპოს მეფემ საკუთარი მამა მოჰკლა, დედა ცოლად შეირთო და როდესაც სიმართლე გაიგო, თვალები დაითხარა. სიყვარულის ღმერთი ეროტი ბერძნულ მითოლოგიაში სიკვდილის მთესველი ღმერთია. მისი ეშინიათ სხვა ღმერთებს. ეს არის შიში გაუგებარი, მომნუსხველი ძალის მიმართ. ღმერთები ამ გაუგებარი ძალის სიმბოლოებია და რაც უფრო აუხსნელია სიცოცხლისა და სიყვარულის საიდუმლოებანი, მით უფრო უძლეველნი და დაუნდობელნი არიან ისინი. ტრაგედიის გმირებს ეუფლებათ ეს ზეადამიანური, ტიტანური ვნებები. მათი სიყვარული და სიძულვილი გამანადგურებელ ძალას იძენენ, სპობენ ყველას, ვისაც კი ეს ძალა შეეხება.

ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ზიგმუნდ ფროიდი, რომლის ერთი შეხედვით აბსურდზე აშენებულმა ბიოლოგიურმა მოძღვრებამ სექსუალური ენერგიის — ლიბიდოს შესახებ და ამ ენერგიის ძალაზე დაფუძნებულმა, ადრეულ ბავშვობაშივე დასავიწყებლად განწირულმა არაცნობიერმა ფსიქიკურმა განცდებმა, მედიცინასა და ფსიქოლოგიაში ცნობილმა „ოიდიპოსის კომპლექსის“ სახით, ახსნა ჩვილის ყოვლისმომცველი პანსექსუალიზმი და დაარწმუნა ფსიქიატრები, რომ ახალშობილი განიცდის სექსუალურ დამოკიდებულებას დედისაგან ძუძუს წოვის შედეგად, „უმიჯნურდება“ მას და მეტოქის, საკუთარი მამის სიკვდილიც კი სურს. ამიტომ ხომ არ არის, რომ ძველბერძნულ ტრაგედიებს ღღე-

საც არ დაუკარგავს და, ალბათ, არც არასოდეს დაჰკარგავს მაყურებელზე ზემოქმედების ულრმეს ძალას, რადგან მიუხედავად გმირის სიკვდილისა, იდეა იმარჯვებს და სპექტაკლი სასოწარკვეთით კი არა, სულიერი განწმენდით, კათარზისით მთავრდება. და განა სექსუალური ტკბობის უმაღლესი საფეხური, თუნდაც მხურვალე ლოცვით გამოწვეული რელიგიური ექსტაზი, ანდა სულისშემძვრელი გლოვა და სინანული, ამ მოვლენათა რიგს არ მიეკუთვნება და იგივე კათარზისი არ არის? და, მგონი, მივედით კიდეც ძირითად სათქმელთან: — შეიძლება ამგვარი განცდების მსგავსი რამ ცხოველისაგან მომდინარეობდეს?

მაშასადამე, სიყვარული ცხოველური ინსტინქტიდან, სიცოცხლის გაგრძელება მარადიულობის კანონზომიერებიდან კი გამომდინარეობს, მაგრამ მხოლოდ ადამიანს ახასიათებს. ამიტომ, სიყვარული ადამიანური არსის უძირითადესი გამოვლინებაა და როგორც მოვლენა, იმთავითვე მოცემულია მისივე ამქვეყნიური ბედისწერის, მოვალეობა — დანიშნულებისა და ცხოვრების აზრის ჭასამართლებლად. ფილოსოფიის ერთერთმა მამამთავარმა პლატონმა, შექმნა მარადიული, სულიერი სიყვარულის თეორია, შემდეგში პლატონური სიყვარული რომ დაერქვა.

ძველ საბერძნეთშივე მსჯელობდნენ სიყვარულის გაორებაზე, მის სხეულებრივ და სულიერ მხარეზე. ისინი ორგვარ აფროდიტას (სიყვარულის ღმერთს) აღიარებდნენ: აფროდიტა — პანდემოსს (საერთო სახალხოს), როგორც ცხოველური, ტლანქი სიყვარულის გამომხატველს და აფროდიტა — ურანუსს, რჩეულთა ხვედრს, ნატიფ, გამორჩეულ-ადამიანურ სიყვარულს. პირველს არ ჭირდება შეყვარება, არჩევანი, განცდა. მეორე სულიერია, განუმეორებელი, ულალატო, მარადიული, განწმენდა-ამაღლების მომნიჭებელი.

ერთი სიტყვით, ამ წერილში ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ სიყვარულის რელიგიამდე, ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე შეიქმნა სიყვარულის, როგორც ადამიანის უძირითადესი შინაარსის, კლასიკური თეორიის მოდელი, ისევე, როგორც პიროვნების ჰარმონიული განვითარების კლასიკური პირობები, საკაცობრიო ეთიკის კლასიკური ნიმუშები, და დემოკრატიის როგორც სახელმწიფოებრივი მართვის კლასიკური საფუძვლები. კლასიკა კი უკვდავია, რადგან იგი ზნეობის საფუძველთა საფუძველია.

**თენგიზ აბრამიშვილი,**
**ექიმი ფსიქიატრი**

# ორიდან ხუთ წლამდე

## ორი წლის და ორი თვის თეა



### მამა ლერი და ძია ლენინი

ვიტრინაში ლენინის პორტრეტი იყო გამოკრული.

— უიმე, მამა ლერი მეგონა და ძია ლენინი არ ყოფილა? — შეწუხდა თეა.

### მსხვერპლი

თეამ რაღაც დააშავა, მამამ დატუქსა.

— მამიკო არ მიყვარს, მარტო დედა მიყვარს, — გადაუხადა სამაგიერო მამას.

— რატომ, მამიკომ ხომ გიყიდა ველოსიპედი? — გავახსენე მე.

— კი.

— ჰოდა, იმ ველოსიპედს მამიკო სხვა ბავშვს წაულებს.

— მერე ისევ მომიტანს?

— არა, აღარ მოგიტანს.

—ა რ მინდა ველოსიპედი. მე დედიკო მიყვარს.

### არგუმენტი

თეა, რატომ არ გძინავს?

— იმიტომ, რო ადგომა მინდა.

### როცა მეფერები

— დედა, ნუ კითხულობ!

— რატომ?

— არ მიყვარს, რო კითხულობ.

— როცა ვუკრავ, გიყვარს?

— არა.

— აბა რა გიყვარს?

— როცა მეფერები.

### სამკაული

სამაჯურის გავლენით ყოველგვარ სამკაულს ამჯაურს ეძახის. ერთხელ ყელზე წითელწინწკლებიანი ბაბთა გავუკეთე. მოეწონა

— ეს რა ამჯაურივით ჰგავს. (ე. ი. სამკაულივითააო).

### კითხულობა

ტელევიზორში კითხულობა (ე. ი. როცა კითხულობენ) არ მიყვარს, ცეკვა მიყვარს.

### კარგი ბებო

იატაკზე წყალი დააქცია. სანამ გავუჯავრდებოდი, დამასწრო.

— ბებოსთან რომ ვიყავი, იატაკზე წყალი დავაქციე. ბებო კი არ გამიჯავრდა. ისეთი კარგი ბებოა!

### ჭამის დროს

ვსაუზმობდი. თეამ ფეხსაცმელი წაიძრო. მე დავტუქსე.

— დედა, ჭამის დროს ლაპარაკი არ შეიძლება. რატომ ლაპარაკობ?

### ზრუნვა

დედიკო, ნათიას რომ აჭმევ, სამსახურში გაიქეცი, არ დაგაგვიანდეს. (თვითონ არ უნდოდა ჭამა).

### მისისიპი

რაღაც ამბავი შევთხზე, რომელშიც ვახსენე მდინარე მისისიპი. რამდენიმე ხნის შემდეგ ვკითხე: იმ მდინარეს რა ერქვა მეთქი.

— თავისისიპი — მიპასუხა თეამ.

### სიტყვათწარმოება

უკარაქიანო პური მინდა

უდაუბანლო ხელები მაქვს

ის ბავშვი ზიოდა (იჯდა)

უდაუხატაო და უდაუწერლო ფურცელი მომეცი.

### ხელის ტარო

— დედა, ეს თოკი ნათიას ხელის ტაროზე (ე. ი. მტევანზე) მოვაბა?

### ვირი

ქუჩაში მემაწვნემ ვირი გაატარა.

თეა ფანჯრიდან დიდი ყურადღებით აკვირდებოდა მისთვის უცხო ცხოველს.

— დედა, ის ვალოდიაა თუ ვინ არის? (ვალოდია ცხენს ერქვა სოფელში)

— ვირია, შვილო — ავუხსენი.

— ვირი შენ ხარ, — იწყინა თეამ, — ვირი კი არა, ისეთი ლამაზია. (ვირი მარტო სალანძღავი სიტყვა ეგონა).

### ვალის მოსახდელად

— საბურთალოზე წამიყვანეთ დედასთან, — თხოვა თეამ ბებიას, რომელთანაც სტუმრობა ძალიან უყვარდა.

— დედა მოგენატრა?

— არა, კი არ მომენატრა, დედამ მითხრა: მე რატო არ გენატრები და სახლში წამოსვლა რატო არ გახსენდებაო და იმიტო ვთქვი. ისე აქ მირჩევნია.

**ნარგიზა მგელაძე**



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესია: ფოტოჟურნალისტი

# ასეთი უბრალო ჩვეულებრივი ცხოვრება



სურათზე: ნათელა გრიგალაშვილი და მისი ნამუშევრები.

ამას წინათ ჩვენი ფოტოჟურნალისტის პორტფოლიოს არქივს ვათვალიერებდი. ჩემი ყურადღება მიიპყრო სურათმა, რომელზეც ისე ძალუმად საკარდობდა სიცოცხლე, ისე ხელშესახებად ტრიალებდა, მზის თვალი სხვათა ხალისით იღვრებოდა ირგვლივ, რომ ვეღარ დაიჯერებდი, თუ სადმე კიდევ არსებობდა საბედო უძლურება, სიკვდილი.

არადა, სულ ებრალო რამ იყო — ქიზიყში პურს მკიდნენ.

ბოლომდე საკახეთსხვდ მოგტუსა ბიჭს ფიწალი თახიგრად ნაებლუჯა და ჩანურებული ხამჯას ძაერმა ასროდა მზემოკიდებულ სახეზე ხორიავით თეთრი კბილები უელავდა ჯაუტ ქორორზე ქერს ხამჯა გადაეყარა მუბლზე თვლის მსხვილი წვეთები აჩნდა სხვათა ჯანიანი ხახდა, გავეშებულ ხარს ქედს მოადრეკინებდა.

ბიჭს რაღაც უსამველოდ უხაროდა და ალბათ ის, რომ აკეთებდა, რაც სიამოვნებას გვრიდა, თანაც ლაზათიანად აკეთებდა, იქნებ ქვეცნობიერად იმასაც გრძნობდა, რომ ახალგაზრდობას, ძალზე შვენოდა. „მარილი მიწისა" უსათუოდ გაგახსენდებოდა მის დანახვაზე მშვენიერი ბიბლიური მეტაფორა.

— სად დაიბეჭდა? — ვკითხე პორტრეტის

— არსად.

— რატომ? — გამიკვირდა მე. ბევრიც არ მინახავს სხვათა უძველი ცოცხალი კადრი „საჭაბუკე" „ჭამ ნა მრომას" „მეს ბიჭო ახაგურელო" რაც გინდა, დაარქვით.

— არ დამიბეჭდეს, ბიჭს საკაიძე ჩახსნილი აქვს და მკერდი მოდუქონილი.

სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ ყოფილიყო! აი ეს სატირალ-სასაცილო ამბავი გამახსენდა, როცა ნათელა გრიგალაშვილის ფოტოები ვნახე, რომელთა ერთ მცირე ნაწილს დღეს გთავაზობთ.







ისინი ალბათ უჩვეულოდ მოგეჩვენებათ. სანამ თვალს მოაჩვევთ და მიხვდებით, რომ თურმე სწორედ ეს არის ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი „არასაკინძემეკრული" ცხოვრება, ცხოვრება, რომელიც ყოველთვის ზეიმი როდია, ცხოვრება უხილავი, უფერუმარილოდ ცხოვრება, რომელშიც შეხვდებით ხალხს ნაოჭებულ, ულაზათოდ ჩაცმულ და ქანცულ ადამიანებს, აი, ეს ჩვენი „თავსაფრიანი დედაკაცები" ჩვენი სოფლის ბურჯად, ხოლო ... მვებს თვითონ ყველაფერს აკეთებენ და ქალაქში უგზავნიან შვილებს.

თითო ფოტო თითო ბედის ხვედ-

ლაა, ოღონდ ესაა, შერჩევა უნდა, რადგან აქამდე სოფელს ჩვენი ფოტორეპორტიორები გვაცნობდნენ „ვარდებივით მოფენილი“ კეკლუცად ჩაცმული, კოხტად დავარცხნილი, ოქროს სამკაულებიანი, თავზე ჭილის ქუდებიანი მხიარული მოღიმარი ქალებით.

აქ წარმოდგენილი ფოტოები ნათელამ თავის მშობლიურ სოფელში — თაგუეთში (ხაშურის რ-ნი) გადაიღო. რაც თავი ახსოვს, სულ უნდოდა ფოტოგრაფობა. მაგრამ აპარატი არ ჰქონდა. (ახლაც არა აქვს) თბილისში თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა. აქ ეს სურვილი უფრო გაუძლიერდა. ამხანაგმა აპარატიც ათხოვა, მაგრამ სწავლით ვერსად ისწავლა. კი იყო კლუბებთან ფოტოწრეები და ბევრგან მივიდა კიდეც დიდი იმედით, მაგრამ ეს წრეები ფაქტიურად არ მოქმედებდა. ასე იწვალა ორი წელი და შემთხვევით მოხვდა ფოტოჯგუფ „თვალსაზრისში“, სადაც იური მეჩითოვი და გურამ წიბახაშვილი დახვდნენ, რომლებიც შემდეგ ფოტოხელოვნებაში მის თანამოაზრეებად იქცნენ. არასოდეს მოსწონდა ლამაზი, გალაქული, დაყენებული ფოტოები, მაგრამ კარგი იყო ეს თუ არა, ამაზე ყოყმანობდა. „თვალსაზრისის“ ფოტოოსტატებთან თანამშრომლობამ საბოლოოდ დაარწმუნა საკუთარი თვალსაზრისის სისწორეში. „შეულამაზებელი სინამდვილე“ — აი, ასეთია ამ ფოტოხელოვანის შემოქმედებითი კრედო. და მიუხედავად იმისა, რომ გაზეთში დაიწყო მუშაობა, სპეციალურად, ასე ვთქვათ, დავალებით გადასაღებად წასვლა უჭირს. ისე კი, ის ნათხოვარი „ზენიტი“ მუდამ თან დააქვს, რადგან კაცმა არ იცის, სად რა „გამოხტება“ საინტერესო.

— ქალაქში ნაკლებად (ქალაქი ცივია, არ გაგეხსნება, სულში არ ჩაგახედებს) სოფელში კი... უჰ, რამდენია გადასაღები, მაგრამ მივლინებით, ერთი დღით რომ ჩახვალ, მაშინ კი არა, არამედ რომ გაუშინაურდები, შიგნიდან რომ დაინახავ. ასე ფიქრობს ნათელა გრიგალაშვილი და ფართოდ გახელილი თვალებით აკვირდება სამყაროს, აკვირდება და ხედავს იმას, რასაც თვალგაუხედნავი კაცი იშვიათად თუ მიაქცევს ყურადღებას. წუთისოფელი კი მიჰქრის და თან მიაქვს ალუბეჭდავი მირიადი საოცარი კადრი, რომელსაც იჭერს და შთამომავლობას უნახავს ამ ნიჭიერი ახალგაზრდა ქალის ნათხოვარი ობიექტივი.

ნარგიზა მგელაძე







ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჩემ თუშეთ…“



**მთათუშეთის** შვიდიოდე დღე ჩემმა ძვირფასმა მასწავლებელმა ბატონმა გრიგოლ კიკნაძემ მაჩუქა,.. იმ ზაფხულს ვაჟა ფშაველას კაბინეტის თანამშრომლები წაიყვანა მთათუშეთში და მათთან ერთად მეც… ეს იყო 1965 წელი. ზღაპარივით მახსენდება ყველაფერი, იმიტომ, რომ ემოციებით სავსე იყო ის ერთი კვირა და ელვასავით გაირბინა. მეორე, ისე განსხვავდებოდა ჩვეულებრივი კვირეებისაგან, ცოტა დრომ რომ გაიარა, აღარც კი მჯეროდა, იყო თუ არ იყო და, მესამე — ცხრა მთას რომ გადაივლი თუნდაც ვერტმფრენით, ერთმანეთს შეყუდებულ მწვერვალებს თვალს გაუსწორებ და მერე შენს ქვემოთ მთათუშეთის პირველ სოფლებს შეამჩნევ — ჩაქცეული ნასახლარებით, ნაციხარებით, არ შეიძლება არ იფიქრო; რომ ქართულ ზღაპარში არაფერია გამოგონილი, არც ცხრა მთა, არც ბროლის კოშკი, არც დევების ნასახლარი.

ბილიკს შევუყევით და როგორც კი აეროპორტი ფერდობს მიეფარა, თითქოს სიჩუმის ქვეყანაში შევედით, ფერდობი მთლიანად ცისფრად მოუქარგავს კესანეს…

სიცოცხლის ნიშანწყალი წასვლია სოფელს, თითქოს მისი ბინადარნი ეს-ესაა აყრილან და გადახვეწილან.,

…კარგად დაღამდა, როცა აღმოსავლეთი მთვარის შუქმა გააპო, სიპით ნაშენი სახლები ვერცხლისფრად განათდა — ომალო აინთო. მთვარე ღრუბლებში რომ შეიმალა — ომალო ჩაქრა. ძველი მეზღაპრენი ფანტასტიკურ ამბებს რომ თხზავდნენ, ალბათ ასეთ სინამდვილეს შესცქეროდნენ.

…სოფელი დიკლო დაღესტნის საზღვარზეა. მთის იქით ლეკეთი იწყება.

…ახლაც ხშირად მომეჩვენება ხოლმე ყვავილის ციხე, დიკლოს მთა, ერთმანეთს გადახლართული ბილიკები და ბილიკის პირებზე ცისფერი მოლივით — უნაზესი კესანე…

ეთერო…

**ჩვენი ქორწილი დანიშნეს ხიზმარში**
**ოქტომბრის თვეში,**
**ჰა, ისიც მოვიდა ზვავით და ბარაქით,**
**ლალისფერ ღვინის თქეშით,**
**შენ მაინც არ ჩანხარ, ალბათ დაგავიწყდი —**
**ისე, ეს კი დარჩეს ჩვენში…**
**ხიდან ჩამომწყდარი, გულშეღონებული**
**ფოთოლი მომიკვდა ხელში.**
**გუშინ ჩავიარე მანდ, არაყიშვილზე,**
**შენი გავიხსენე ხმები,**
**მერე ტირიფის ხემ ცოდვილად ჩიჩივლა,**
**„მიშველე რამეო, ვხმები“…**
**ისევ შორეული ზმანება მოგძებნე,**
**ამბორით დაგილალე თმები,**
**მერე შენს მფეთქავ გულს ღელვით**
**შევუერთდი,**
**მისი ამოფეთქვით ვთბები.,**

…ეს ეთერ თათარაიძეა, ეთერი ჩამქრალი პოეტია, მთრთოლვარე, ხალასი ნიჭის პოეტი… თავადაც პოეზიის ძალით შეკრულ-შებოჭილ-მონუსხული… ლექსი უნთია გულში, ლექსი კრთის მის თვალებში, ლექსი მოსწვეთს მის ბაგეთაგან…

**„ხიდან ჩამომწყდარი, გულშეღონებული**
**ფოთოლი მომიკვდა ხელში“…**
**— რა საოცარი სტრიქონია…**

პირიქითის თუშეთში, კავკასიონის მთავა-

## ✻ ✻ ✻ შენ ბავშვი უძახე და…

# რას დავუმატებდი კონსტიტუციას?

**ამას წინათ ესპანელმა სოციოლოგებმა კოლეჯის მოსწავლეებს ჩაუტარეს გამოკითხვა. მათ ერთადერთი კითხვით მიმართეს ცხრიდან თერთმეტი წლის ბავშვებს: თქვენი ნება რომ იყოს, რას დაუმატებდით კონსტიტუციას? ესპანელი ბავშვების რამდენიმე მოსაზრებას დღეს გთავაზობთ. საინტერესოა, ჩვენი ბავშვები რის დამატებას ისურვებენ ჩვენი კონსტიტუციისათვის?**

**მარკოსი** (9 წლის): კი არ მივუმატებდი, გამოვაკლებდი. იქ სწერია, ყველანი თანასწორები ვართო. მე არ მინდა ვინმეს თანასწორი ვიყო.

**ალიხია** (11 წლის): მე გავასახლებდი ქვეყნიდან ყველას, ვინც კონსტიტუციას არღვევს. ასე ბევრი ბინა გათავისუფლდებოდა და საცხოვრებლის პრობლემაც მოიხსნებოდა.

**ხაბიერი** (9 წლის): მე კონსტიტუციიდან ამოვიღებდი წინადადებას: „გიყვარდეს ღმერთი ყველაფერზე მეტად“.. მე დედა უფრო მიყვარს.

**დავითი** (11 წლის): მე ათი წლის ასაკში ბავშვს თვითონ ავარჩევინებდი სახელს და გვარს. რატომ უნდა დაგვცინოდნენ სხვები იმის გამო, რაშიც შენ ბრალი არ მიგიძღვის? ერთი ჩემი მეგობარი გვარად სერდოა (სერდო ესპანურად ღორს ნიშნავს თ. გ.) რა დააშავა?

**პაბლო** (11 წლის): დავსჯიდი ყველას, ვინც ღამე იხმაურებდა და ძილს არ დაგაცდიდა. ღამე ავკრძალავდი ტელევიზორის, რადიოს და მაგნიტოფონის ჩართვას, აგრეთვე თვითმფრინავის ლამის რეისებს. გამონაკლისი იქნებოდა ხვრინვა, ისიც დაბალ ხმაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ქედის უძლეველმა არის პატარა სოფელი, რომელსაც დანო ჰქვია. ვისაც ერთხელ თვალი მოუკრავს, არ შეიძლება იმ ხეობის სილამაზენი გულში არ ჰქონდეს ჩარჩენილა და არც მისგან შთაგონებულ ლექსს გაიოცებს, მაგრამ ეთერ თათარაიძე მაინც ძალზე უჩვეულო და მოულოდნელი სილამაზის მქონე ლექსების ავტორია.

დანოა მისი ლექსის დედა. იმ „ქორბუდა სოფლიდან" მოაქვს სიყვარულით სავსე გული.

— ეთერ, მაინტერესებს, რატომ გაქვს თუშურ კილოზე წერის სურვილი?

— ალბათ სიყვარულის გამო... ბავშვობიდან მდიდარ სამყაროში ვიყავი. უბანში უამრავი მოხუცია... ყველა ძველ სიტყვას ვდარაჯობდი, რომელიც გადის ხმარებიდან.. მერე თანდათან ლექსებში დავიწყე გამოყენება... დასაკარგად არ მემეტება.

...ბევრ ისეთ სიტყვას ვხმარობ, თანამედროვე თუშ ბავშვებს რომ უკვე აღარ ესმით.

...თუშური ლექსი ყველა წუხილის სათქმელად მაქვს... ხშირად დედას ვესაუბრები ლექსში, იმიტომ, რომ დედა და თუშეთი ერთად მახსოვს ყოველთვის...

მისი თუშეთი ხომ საქართველოს ერთი ფესვია...

## ნაზი ხაპრიძე

ეთერთან ერთად ნაზი ხაპრიძეს ვიხსენებ...

ნაზი ბუნებით პოეტია. პოეზიის ნაპერწკალი მასში ბუნებით ღვივის, ბუნებით ისწრაფის სიკეთისა და სილამაზისკენ...

**...„ჟუშალ-ჩავშალე სალექსე,**
**ჩურჩული ჩემი კალმისა,**
**სიო ქომიტოთ ნაქარი,**
**ნაქარგი ჯვარისკარისა,**
**ბალვატში ხალალოზელი,**
**ნამღერი დანოთ ქალისა...**

ქომიტო მთაა. ჯვარისკარიც ადგილის სახელია. დანო კი ნაზი ხაპრიძის სოფელია. „ეთერი და მე ერთი ციხის ჩრდილში — ბაქანეს ციხის ჩრდილში გავიზარდეთ", — თქვა მან. ამ სოფლის ჩაქცეულ ნაფუძარებზე ეზმანება ეთერს პირმზითი. ნაზიც იმ დღეზე ოცნებობს, როცა მისი ძე — სოსო არაბული პაპის ფუძეზე შედგება და ახალ ნერგს დარგავს.

ჩვეულებრივი ბიოგრაფია აქვს: ომის წინ დაიბადა. მამა ომში დაიკარგა, ბიძაც — დედის ძმა, დედამ გაზარდა ისიც და ობოლი ძმისშვილიც.

ბავშვობა დანოში გაატარა. მერე ზემო ალვანის საშუალო სკოლა დაამთავრა. თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა, მასწავლებლობდა... მერე დაოჯახდა...

თვითონ ნაზის მოვუსმინოთ:

— მე რომ არჩევანი გავაკეთე აქ დამხვდა პატარა ბიჭი და გოგონა, რომლებსაც გული სტკიოდათ, რომ დედა არ ჰყავდათ და ბებია ზრდიდათ.., მიატოვა ისინი დედამ... დიდი, მძიმე ნაბიჯი მქონდა გადასადგმელი, ძნელი გადასაწყვეტი, მაგრამ ალბათ ბუნება სხვა არჩევანის ნებას არ მომცემდა...

აი, რატომ ვთქვით, რომ ნაზი ხაპრიძე ბუნებით ისწრაფვის სიკეთისაკენ და ეს სწრაფვა მარტო ლექსებში არ ცხადდება — ირგვლივაც სიკეთის, სილამაზის დამკვიდრებას ემსახურება... ესაა მისი მოწოდებაც და მისი, როგორც პოეტის მთავარი სათქმელიც.

ამიტომ იყო, რომ პოეზიის სალამოზე მხიარული ტაშით შეხვდნენ მის გულწრფელ შეძახილს:

**..არამ გიხარით, ნისლებო?**
**სიყვარულ დადის მიწაზე!**

საზეალიოდ კი პოეტი ქალი მამულს პირდება არა მარტო საკუთარ გულს, არამედ შვილების სიყვარულსაც...

**მამულო, შენმა ტრფობამ მატარა**
**ამ ძნელ ბილიკზე, თუმცა ქალი ვარ,**
**იმ ცეცხლის ალის ერთი პატარა,**
**ერთი ბრიალა ნაპერწკალი ვარ.**

**ცეცხლის. რომელიც შენს მკერდზე ენთო,**
**ცეცხლის-რუსთველის წიგნს რომ ეკიდა,**
**ცეცხლის — რომელიც მიმქრალ კერაზე**
**აელვარებდა იმედს ნაცრიდან.**

**აი, იმ ცეცხლის ნაპერწკალი ვარ,**
**ბევრიმედები მეომრად, ვიცი,**
**მე ერთი ჩუმი სიყვარული ვარ**
**რუსთველის მიწის, თამარის მიწის.**

**და ვფიცავ ტრფობას, პატარა გულში**
**ელვარე ცეცხლად რაიც ანთია,**
**რომ მეომარი შეგძინე ოთხი:**
**დათუნა, სოსო, ლელა, ნათია.**

**მამულო, შენმა ტრფობამ მატარა,**
**ამ ძნელ ბილიკზე, თუმცა ქალი ვარ,**
**იმ ცეცხლის ალის ერთი კი არა,**
**ხუთი ბრიალა ნაპერწკალი ვარ!**

...წრფელია ნაზის ხმა, წმინდა, აუმღვრეველი... ამიტომაც ველარ დავაშორე თუშეთის მოგონებებს...

**ლამარა კიკილაშვილი**

**ალეხანდრა** (11 წლის): კონსტიტუციას მივუმატებდი მუხლს, რომლის მიხედვითაც დაისჯებოდნენ მშობლები, რომლებიც ბავშვის წერილებს წაიკითხავდნენ.

**ესმერალდა** (11 წლის): მე ვფიქრობ, რომ კოლეჯებში ირღვევა მუხლი სიტყვის თავისუფლების შესახებ. მასწავლებლებს ჰგონიათ, რომ მხოლოდ ისინი არიან მართლები. კონსტიტუციაში პარაგრაფს სიტყვის თავისუფლების შესახებ მივუმატებდი „მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის".

**ხორხე** (11 წლის) მე ყველა თავს მივუმატებდი სიტყვას „ნაკლები". „ნაკლები გადასახადები, ნაკლები ატომური სადგურები, ნაკლები პოლიციელები".

**კარლოსი** (11 წლის): არაფერსაც არ მივუმატებდი, ჩვენ რომ მივუმატოთ, უფრო გაიზრდება და უფრო ძნელი სასწავლი იქნება. საერთოდ რომ არ არსებობდეს, მისი დაზეპირებაც არ მოგვიხდებოდა.

**ნურია** (11 წლის): ყველა ადამიანს დავუკანონებდი ძილის უფლებას. მაშინ დედაჩემი დილაუთენია ველარ გამაღვიძებდა.

**პედრო** (9 წლის): რა უნდა მივუმატო, როცა წარმოდგენა არ მაქვს, შიგ რა სწერია!

ესპანური პრესის მიხედვით მოამზადა **თეა ბვასალიამ**

სხვათა შორის

## თუ სადილს აკეთებთ

როდესაც დაკავებული ხართ საოჯახო კულინარული საქმიანობით, სასურველია თან იქონიოთ ცელოფნის პაკეტი. იგი დაგეხმარებათ, კერძოდ, თუ დარეკავს ტელეფონი ან სტუმარი მოადგება თქვენს კარს, ან სხვა საჭიროების შემთხვევაში, წამოიცმევთ დასვრილ ხელზე ცელოფანს.

## გაითვალისწინეთ:

ნუ მისცემთ ბავშვს იმის საშუალებას, რომ შეკითხვაზე მაინცდამაინც უარყოფითი პასუხი გაგცეთ. თუ ბავშვს კითხავთ: — გინდა დაბანა? — არაო, — აუცილებლად ასე გიპასუხებთ. მაგრამ აბა ასე ჰკითხეთ: — როდის დაიბან, შვილო, ახლა თუ ზღაპრის მოყოლის შემდეგ? — გარწმუნებთ, პასუხი გაცილებით ეფექტური იქნება.



### ნიჭი — ეროვნული სიმდიდრე

**ნინო კრავეიშვილი სიმღერით ცოცხლობს და ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვები არ არის. უჭირს და მღერის, ულხინს და — ხომ თავისთავად. სადილსაც უცნაურად ამზადებს — გიტარა ან ფანდური (ეს იმის მიხედვით, ქალაქურ სიმღერას ამუშავებს თუ ხალხურს), გვერდით უდევს და ასე სიმღერა-სიმღერით მზადდება მასთან სადილი, ირეცხება სარეცხი, ლაგდება ბინა. — დედიკო გაკვეთილებსაც სიმღერით გვასწავლისო. — ხუმრობენ მისი გიორგი და კოკა.**

**ნინო კრავეიშვილს მუსიკათმცოდნენი ქართული ხალხური სიმღერის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად თვლიან.**

# საქართველოს მთების ხმებს გამოსცემს

ნინოს სპეციალური მუსიკალური განათლება არ მიუღია. სკოლაში სწავლისას დადიოდა ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. სტუდენტური შემოქმედების სული და გული იყო, და მაინც, თუ სიმღერა მის ცხოვრებაში მთავარ როლს ითამაშებდა, ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა.

სიმღერაში ნინო სერიოზულად უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მეცადინეობს. ღმერთმა უშველოს გულისხმიერ ადამიანებს — ხელოვნების მუშაკთა სახლის პედაგოგმა კლარა კეჟერაშვილმა შეუცდომლად განსაზღვრა ნინოს ამპლუა, ურჩია სერიოზულად შეესწავლა ქართული ხალხური სიმღერა და თვითონვე დააწყებინა მეცადინეობა. პირველი ხოლო სიმღერა, რომელიც ნინომ შეისწავლა, „ოროველა" იყო. ახლა იგი სიამოვნებით იხსენებს, რა დიდი დრო და ენერგია შეალია მას, როგორ უჭირდა ურთულესი ხვეულების გამოყვანა, ამ სიმღერით წარსდგა პირველად ნორვეგიელი იმპრესარიოს წინაშე, რომელსაც ძალზე მოეწონა და გასტროლებზე მიიწვია (ნინო ნორვეგიაში ვეღარ წავიდა ფრიად საპატიო მიზეზით — ბავშვი შეეძინა).

ნინოს შესრულების თავისებური მანერა აქვს — სულს უდგამს სიმღერას. ბევრი ჩვენი მომღერლისგან განსხვავებით, დიდ ყურადღებას აქცევს ტექსტის მიტანას მსმენელამდე და ამის გამო ყოველთვის კარგ ლექსებს არჩევს; თვითონვე ქმნის მელოდიას ილიას, აკაკის, ვაჟას, მურმან ლებანიძის და სხვათა ლექსებზე, რა თქმა უნდა — ხალხურზეც. სხვა კომპოზიტორების სიმღერებსაც თავისებურად ახმოვანებს, იმ ნიუანსებს წამოსწევს წინ, რომელიც მისი აზრით, უფრო ქართული, უფრო ჩვენი, უფრო სულისმიერია. კომპოზიტორებსაც ხშირად სიამოვნებით აღუნიშნავთ, რომ ნინო მათ სიმღერებს სხვა ხიბლს მატებს.

ამას წინათ ნინო კრავეიშვილი ფოლკლორულ ანსამბლ „მეტეხთან" ერთად გერმანიაში იყო გასტროლებზე. გაზეთები დაწვრილებით მიმოიხილავდნენ ქართული სიმღერებისა და ცეკვების ხიბლს და განსაკუთრებული აღფრთოვანებით აღნიშნავდნენ ნინოს შესრულებას. „გროს ბიბერაუს ანცაიგებლატ" წერდა: „ახალგაზრდა ქალი იწყებს სიმღერას ფანდურზე, სამსიმიან ხალხურ ინსტრუმენტზე, რომელიც თითქოს საქართველოს მთების ხმებს გამოსცემს."

ნინო კონცერტების მერე თაყვანისმცემლების რკალში ექცეოდა. აძლევდნენ თავიანთ მისამართებს, ეპატიჟებოდნენ შინ.

ახლაც მოსდის წერილები და მიწვევები გერმანიიდან.

„თქვენმა აქ ყოფნამ აღაფრთოვანა ხალხი, თქვენ რაღაც განსაკუთრებული სიამოვნება მოგვანიჭეთ. როგორც კი შვებულებას აიღებთ, გელით. ძალიან ბედნიერი ვართ, რომ გაგიცანით, ვიმედოვნებთ რომ კვლავ მოგისმენთ.

რენატა და ჰანსი".

აშშ-ში გასტროლებისას მრავალი ქალაქი მოიარა სიმღერით: ტრენტონი, ატლანტიკსიტი, ბოსტონი...

„ძალიან გულთბილები არიან ამერიკელები, გაძლევენ საშუალებას, გამოავლინო ის, რაც ხარ," — ამბობს ნინო. კონცერტების მერე კვლავ იგივე სურათი მეორდებოდა.

ატლანტიკ-სიტში „ქართველ ქალს, თხემით ტერფამდე", როგორც გაზეთები წერდნენ, ოცი იქაური სომეხი მიეახლა. სათითაოდ გადაიღეს ნინოსთან სურათი, თავისთან მიიპატიჟეს.

ნინოს სიმღერებს გადასცემდნენ რადიოთი, ტელევიზიით.

„მე არ მეშინია უცხოელი მსმენელის. მჯერა, რომ მათ ჩემი სიმღერის ენა ესმით", — ეს ნინოს სიტყვებია.

შარშან თურქეთში, ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში მხოლოდ შვიდი ქვეყანა მონაწილეობდა — მექსიკა, ესპანეთი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, თურქეთი და საქართველო. ნინო კრავეიშვილი სახელმწიფო უნივერსიტეტის ანსამბლ „მთაწმინდასთან" ერთად გამოდიოდა. თურქებს „შატილის ასული" მოეწონათ განსაკუთრებით. ქართველები ფესტივალის ლაურეატები გახდნენ. იქაური ქართველების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

კვლავ იწვევენ ნინოს აშშ-ში, გერმანიაში, თურქეთში...

მართალია, ჩვენთან ნინო შემოქმედებით საღამოებს მართავს, საქველმოქმედო კონცერტებს ატარებს, ტელევიზიითაც გამოდის, მაგრამ ნიჭით აღბეჭდილი მისი ხელოვნება მაინც მეტ ხელშეწყობას და დახმარებას მოითხოვს.

ნიჭი ხომ ეროვნული სიმდიდრეა.

სალომე ზვიადაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ცინარა ტერელაძე



# სიხარულის წყარო

შუაგულ ტყეში ახალგაზრდა ჯმუხი ხე იდგა. მის დაბურულ ტოტებქვეშ პაწაწინა ნაკადული მირაკრაკებდა.

ერთ მშვენიერ დღეს ხე ნაკადულს გამოელაპარაკა:

—ნეტავი ყოველთვის კარგ გუნებაზე როგორა ხარ, სულ ხალისიანად რომ მინავარდობ და ტკბილად ღიღინებ. მაინც რა გახარებს?

— განა ვერ ხედავ, რამდენ ცხოველსა და მცენარეს ვარწყულებ! ზოგჯერ ადამიანებიც ჩამომივლიან და ჩემი წყლით წყურვილს იკლავენ, —მიუგო ნაკადულმა.

— მე კი... მე აბა, რა შემიძლია! — ამოიოხრა ხემ და დადუმდა.

მეორე დღეს ხეს ციყვი ეწვია.

— გამარჯობა, მშვენიერო ხეო! — მიესალმა მასპინძელს, —შეიძლება შენთან ვიცხოვრო? შესანიშნავი ბინა მექნება ზამთრისთვის თხილის, კაკლის, სოკოსა და გირჩების შესანახად.

— კეთილი იყოს შენი მობრძანება, — მიუგო ხემ.

ციყვმა ფუღუროში ბინა გაიკეთა და მთელი ზამთარი შიგ გაატარა.

გაზაფხულზე ორი ჩიტი მოფრინდა.

— გამარჯობა, კეთილო ხეო! —მიესალმნენ ქლურტულით ფრთოსნები, — ნებას დაგვრთავ, შენს ტოტებში ბუდე გავიკეთოთ?

— მობრძანდით, მობრძანდით! —გულღიად მიიღო ხემ სტუმრები.

ზაფხულში ხეს ფუტკრების დიდი გუნდი ეწვია.

— შეიძლება შენთან დავიდოთ ბინა ზამთრისთვის თაფლი აქ შევაგროვოთ? — ბზუოდნენ ოქროსფერი მწერები.

— დიდი სიამოვნებით! —მიიპატიჟა ხემ.

— გავიდა ხანი...

ერთ მშვენიერ დღეს ნაკადული შეეხმიანა ხეს:

— ამ ბოლო დროს ძალიან კმაყოფილი მეჩვენები, მხიარულად შრიალებ, რამ გაგახალისა, მეზობელო?

— რატომ არ უნდა ვმხიარულობდე, ჩემო კარგო. შენც ხომ იცი, რამდენი მეგობარი მაზვევია თავს. ყველას დახმარების ხელი გავუწოდე, — მიუგო ხემ.

— განა არა? სიცოცხლეს მაშინ აქვს აზრი, როცა სხვებს ანიჭებ სიხარულსა და ბედნიერებას, — ჩაირაკრაკა ნაკადულმა.



**შოთა ამირანაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი ქალი—პარიზის საპატიო მოქალაქე

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრება ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამაარსებლის სპირიდონ კედიას ქვრივის — ქალბატონ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას ძმისწულს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის კათედრის პროფესორს ბატონ **მერაბ ჩიჯავაძეს**, რომელმაც შარშან ერთი თვე დაჰყო მამიდასთან პარიზში.



დედა-შვილი



ლეო კედია



სოფიო ჩიჯავაძე



— **ბ**ატონო მერაბ, ამ ბოლო წლებში პრესაში რამდენიმე პუბლიკაცია გამოქვეყნდა ქალბატონ სოფიოზე, რომლებშიც დაშვებულია ზოგიერთი უზუსტობა. ამ ინტერვიუთი შესაძლებლობა მოგეცემათ გაასწოროთ იგი და ისიც გვიამბოთ, რაც ქართველი მკითხველისათვის ჯერჯერობით უცნობია.

**— მართალი ბრძანდებით. როდესაც კონკრეტულ პიროვნებაზე პრესაში წერილი იბეჭდება, მეტი სიზუსტეა საჭირო, თუმცა მადლობის მეტი რა გვეთქმის ბატონ გურამ შარაძის მიმართ, მან ჩვენს საოცნებო მამიდას წიგნში „უცხოეთის ცის ქვეშ" საპატიო ადგილი მიუჩინა და რამდენიმე პუბლიკაციაც გამოაქვეყნა მასზე.**

**მამიდაჩემი განსწავლული პიროვნება გახლავთ. მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოსოფიური ფაკულტეტი დაამთავრა. პირველი ქართველი ქალია ამ უნივერსიტეტდამთავრებულთა შორის. მანამდე კი ალფეროვის კურსებზე ჩაირიცხა. მაშინ ეს რჩეულთა ხვედრი იყო, მაღალი ქულებით დაამთავრა და უგამოცდოდ მიიღეს უნივერსიტეტში.**

**ორი ძმა ჰყავდა. მამაჩემი ლონგინოზი, სამხედრო პირი იყო, ბელგიაში, ქალაქ ლიეჟის უმაღლესი ტექნიკური უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული. მეორე ძმას — ირაკლის საფრანგეთში ჰქონდა განათლება მიღებული. ჩიჯავაძეები თელავის რაიონის კისისხევის თავადები იყვნენ, დღესაც დგას სოფელში ჩვენი საგვარეულო სახახლე.**

**მამიდაჩემი ბავშვობიდან ამაყი, შეუდრეკელი და ბუნებით დემოკრატი ყოფილა, ზები-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასგან მახსოვს, რომ სრულიად ახალგაზრდა მამიდა სოფიოს მათ მამულში მცხოვრები ხიზნები ბეგარისგან გაუნთავისუფლებია, ბებიაჩემს შური უძიებია: შემოსავალი დაგვაკარგვინაო და საზღვარგარეთ სასწავლებლად გასამგზავრებელი ქალიშვილი დაუსჯია, აღარ გაუგზავნია. მამიდას თავისი მაინც არ დაუშლია და მოსკოვში სასწავლებლად საკუთარი ინიციატივით წასულა. იქ სწავლის პერიოდში ვინ არ მოუხიბლავს სიდარბაისლით, სიბეჯითით, წინდახედულობით, ქართველი ქალისათვის დამახასიათებელი კდემითა და გარეგნობით. მოსკოვში შეხვედრია და გაუცვნია კოტე მარჯანიშვილი. რეჟისორს ქართული საღამო მოუწყვია, რომელსაც იუქინი ხელმძღვანელობდა. მოწვეული ჰყოლიათ თარზე საუკეთესო დამკვრელი ირაკლი ამირეჯიბი. მამიდა განთქმული მოლეკურე ყოფილა, მას ამ საღამოზე მონაცვლეობით ეცეკვებოდნენ მიშა თუხარელი და ილიკო აბაშიძე, მათი შემყურე საზოგადოება ძალზე მოხიბლულა.

სამი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულა, წმინდა ნინოს სასწავლებელში და ვაჟთა პირველ გიმნაზიაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა, მოგვიანებით იყო ქალთა პირველი გიმნაზიის დირექტორი.

ამ წლებში გაიცნო სპირიდონ კედია, რომელიც საფრანგეთიდან ახალჩამოსული იყო. სპირიდონს მიტინგზე მგზნებარე სიტყვა წარმოუთქვამს. 1916 წელს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კონფერენციაზე ერთხმად აურჩევიათ ამ პარტიის ლიდერად. სანამ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდოდა, სპირიდონი ეწეოდა მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობას, როგორც პუბლიცისტი, დეპუტატი, დამფუძნებელი კრების ასამბლეის წევრი, პარლამენტში ეროვნული ოპოზიციის მეთაური. ტრანსკავკასიის კომისარიატის მიერ დასახელებული იყო საქართველოს განსაკუთრებულ და სრულუფლებიან ელჩად ევროპაში. გახლდათ დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი ჟურნალებისა „სამშობლოსათვის“ და „საქართველოს გუშაგი“, რომლებიც მაშინ საფრანგეთში გამოდიოდა.

...1919 წლის 19 ნოემბერს სოფიო ჩიჯავაძემ სიონის საკათედრალო ტაძარში ჯვარი დაიწერა სპირიდონ კედიაზე, რიტუალი კალისტრატე ცინცაძემ შეასრულა. ვინ იფიქრებდა, ამ ულამაზეს და უბედნიერეს წყვილს, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ და მისი ბედით დღენიადაგ შეჭირვებულ ამ ორ შეუდარებელ პატრიოტს, განგება ასეთ მწარე ხვედრს — ემიგრაციაში ცხოვრებას არგუნებდა.

სპირიდონ კედია ნოე ჟორდანიას იდეების შეურიგებელი მოწინააღმდეგე გახლდათ. მიუხედავად ამისა, როცა ემიგრანტების გემი ბათუმიდან უნდა გასულიყო, ნოე ჟორდანია სპირიდონსა და მის ოჯახს მთელი დღე-ღამე ელოდებოდა, მაგრამ ამაოდ. სპირიდონი შეგნებულად არ ტოვებდა სამშობლოს.

ბოლშევიკებმა შემოსვლისთანავე დააპატიმრეს. მეტეხის ციხეში სამი წელი დაჰყო. დახვრეტა მიუსაჯეს. მაგრამ აბელ ენუქიძემ იხსნა და სასჯელი საფრანგეთში სამუდამო გადასახლებით შეუცვალეს. ოჯახი კი საქართველოში მძევლად დარჩა. დიდი მეგობრობა აკავშირებდა კედიების ოჯახს მაშინდელ ქართველ ინტელიგენციასთან, განსაკუთრებით გრიგოლ რობაქიძესთან.

სპირიდონი სპეციალობით ქიმიკოსი, გიორგი მაჩაბელთან „პრინც მაჩაბლად“ წოდებულთან მუშაობდა ქალაქ კლამარში, სუნამოს საწარმოში. ოთხი წელი გაატარა მარტოდმარტომ, მომძლავრდა ეკონომიკურად და მხოლოდ მერე მოიწვია თავისთან მეუღლე და რვა წლის ქალიშვილი თეო. მათაც იძულებითი სამუდამო თავშესაფარი ჰპოვეს უცხოეთში, მაგრამ ყველაფერი იღონეს საქართველოს საკეთილდღეოდ.

სპირიდონი 1948 წელს გარდაიცვალა კლამარში, დაკრძალეს ლევილის ცნობილ სასაფლაოზე. ერთი წლის შემდეგ ოჯახი პარიზში დაფუძნდა.

მამიდაჩემი მუდამ ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას — საფრანგეთში იყო „ქართული კერის“ დამაარსებელი, ქართულ ენასა და ლიტერატურას, ისტორიას ასწავლიდა ემიგრანტთა ოჯახის წევრებს. აწყობდა სხვადასხვა შეხვედრებსა და საღამოებს. თეომ პარიზის ცნობილი მუსიკის უმაღლესი ნაციონალური კონსერვატორია დაამთავრა ფორტეპიანოს განხრით, მოიპოვა კონსერვატორიის ლაურეატის წოდება, იგი ერთ-ერთ საუკეთესო პედაგოგად ითვლება. დედის მსგავსად შესანიშნავად ფლობს ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ ენებს.

ქალბატონ სოფიოს, ამ შეუდარებელ პედაგოგს, საქართველოში დარჩა აღზრდილები, რომლებიც შორიდან აგრძნობინებდნენ გულის სითბოს: მაყვალა მრევლიშვილი, ქეთევან გოგიჩაიშვილი, თებრიკო ჩაილურელი, ნინო ზანდუკელი, კატო ციმაკურიძე, შალვა ცალქალამანიძე, ნინო რამიშვილი...

1985 წელს, ასი წლის ქალბატონ სოფიოს პარიზის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს. პარიზის მერის, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ჟაკ შირაკის სახელით სპეციალურად დამზადებული მედალი და დიპლომი მიართვეს ქართველ მანდილოსანს და საფრანგეთის უხუცეს მოქალაქედ აღიარეს.

1990 წელს პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის მიერ დაწესებული ილია ჭავჭავაძის სახელობის პირველი პრემია მიიღო ქალბატონმა სოფიომ მემუარებისათვის „105 წლის გადასახედიდან ჩემს ერთადერთ ქალიშვილს“, რომელსაც მალე ჯანრი კაშია წიგნად გამოსცემს. ქალბატონმა სოფიომ საპრემიო თანხა ქველმოქმედების მიზნით გამომცემლობის ფონდს დაუტოვა.

107 წლის მამიდა დიდი პატივისცემით სარგებლობს მთელს პარიზში. მას შემორჩა ცინცხალი გონება, უნიკალური მეხსიერება.

ახალგაზრდობაში იგი იოსებ გრიშაშვილის საუკეთესო ლირიკული ციკლის მუზა გახლდათ. ზარფუხში, პოეტის სახლ-მუზეუმში ერთი ასეთი ნიშანდობლივი წარწერაა „სონა ჩიჯავაძე, — ჩემი საუკეთესო ლექსები ამას ეკუთვნის“.

ესაუბრა **ნანული ბუკია**



### დაბნეულობა

— როგორ დაიწვი ასე ყურები?

— როცა ვაუთოებდი, ტელეფონმა დარეკა და ყურმილის მაგიერ უთო მივიდე ყურზე.

— მეორე ყური?

— ექიმი ხომ უნდა გამომეძახა!

### თავისმართლება

— რად იმეორებ ჭორებს?

— მაშ რა ვქნა, როცა თვითონ ვერ ვიგონებ.

### გაქირდვა

— იმის მტკიცება, რომ შვედი მამაკაცები თითქოს ჯენტლმენები არ იყვნენ, სინამდვილეს არ შეეფერება. მაგალითად, დღეს საკუთარი თვალით ვიხილე, შვედი მამაკაცი თავისი ქოლგით როგორ იფარავდა წვიმისაგან ქალს, რომელიც ავტომობილს ბორბალს უცვლიდა.

### ვარაუდი

— ამ ძველი კაბით რესტორანში წამოსვლიდი? — ჰკითხა ოტომ მეუღლეს.

— ცხადია, არა.

— ასეც ვიფიქრე და ჩემი მდივანი ქალი დავპატიჟე.

### პოლიკლინიკაში

— ხელი გიკანკალებთ, ალბათ ბევრს სვამთ?

— რას ბრძანებთ, ექიმო, უფრო მეტს მეღვრება.

### დიალოგი

ცოლი: წელან დაგინახე როგორ ამოძვრებოდი ლუდხანის სარდაფიდან.

ქმარი: მაშ სულ იქ ხომ არ ვიჯდებოდი.

გერმანულიდან თარგმნა

**ზურაბ ამირანაშვილმა**



ანა კალანდაძე

## ხვედრი

ო, უმაღლესო ხათნოებავ, მპყრობელო სულთა,
ციურ სხივებს რომ უშურველად აბნევ და ისვრი,
ეჭვთა მდაბალთა იგმირები მახვილი ისრით,
მაინც სულმოკლე მოისართა...
შენდობას უთვლი!
არა დუშმანი,
მოყვასია ეკლით მკობელი, —
უკვეცოს კუდი ბედაურთა ფრთა-ფაფარგაშლილთ,
რომ ჩაიძიროს ეტლი შენი წუხილის ლაფში...
შენ მაინც უნდა მას მიაგო...
სამადლობელი!
კვლავ სწვდები მიწას მიცემული უმძიმეს განცდებს,
სად... ბინდობს გონი,
გულიც — ბრმაა, ვერრის მჭვრეტელი...
ჭეშმარიტება,
აჰა, ყოვლის გამამწყვეტელი!
მისკენ!
ხულ მაღლა! ეტლი შენი
მზეს რომ არ ასცდეს!

## შორი მთეჭისპეწ...

აეროდრომი კატანიისა,
შორს — ლურჯი მთები,
ეტნა კი — ახლოს...
დანისლულია სივრცე იისფრად,
ფიჭვს იტალიურს ზღვაური არხევს...
საჭეს მიუსხდნენ ქალბატონები,
უცხო კუნძულის მიჰქრით წიაღში,
ლურჯი ქედისკენ, — კავკასიონის
ხატად რომ მოჩანს კატანიაში!

1992 წ.

## ნუ დამიმძიმებთ სულს...

კვლავ მომიხილეთ, წმინდა არიდილნო,
გამომეცხადეთ, მანიშნეთ რალაც...
მტკიცეა სიტყვა და განაჩენი, —
არ საჭიროებს ბეჭედს და ქაღალდს,
„მორწმუნე სიზმრის —
მდევარი ქართა",
[illegible]
[illegible]
[illegible] წყალობის კალთა,
ხელს შეშირაგზულს [illegible]

1992 წ.

## წინაპარს უთქმამს...

უთქვამს წინაპარს
(ხული იმისი
უჩანს მთაბალთა
ჩემს ეზოებადთა!):
კარი ღიაა
ელეესისა,
მაგრამ... სამუსი...
ვინ მისცა ძალთა?!

1992 წ.

## ჟამთა რომელთა?

„მწუხრზე ტირილით განისვენოსო,
განისვენესო შვებად ცისკრისას"...
ჟამთა რომელთა მომცენ კურნება,
მომცენ სალბუნი რომელ ისრისა?
დამძიმებია, ვგრძნობ, ფრთები მორფევსს,
დახშვია კარი სრათა მისათა.
სით უგზავნიდა ნალვლიან ხოფელს
(თუმცა [illegible]!) კეთილ ხიზნართა!

1[illegible] წ.

## გარიბალდის ძეგლთან

მწვანე კუნძულზე ზღვისპირა სკვერში
არწივისებურს ვაწყდები მზერას, —
სივრცეს გაჰყურებს შორს გარიბალდი,
ზღვაზე სათმარ ხომალდებს ზვერავს...
დიად ბრძოლების დიად გრიგალში,
გაფრენილ ცხენზე გხედავ, მხედარო!
ეხმოდათ ქართლში შენი ციცინა,
„ბორკილთა მტვრევის ხმა სანეტარო"!

1992 წ.

**რაბინდრანაათ თაგორი**

## დასაბამი

საიდან მოევლინე ქვეყნიერებას? — კითხვა ებადება ჩვილს... დედას ეცინება, ზრუნვით დალილ თვალებში ჩამდგარი ცრემლები ულამაზეს გრძნობებად ელვრება:

— შენ ჩემს გულში იყავი დავანებული, ძვირფასო, მისი სურვილი იყავი.

შენი სახება ილანდებოდა ჩემი ბავშვობის თოჯინებშიც და ყოველ დილას ჩემს მიერ თიხისგან გამოძერწილ ღვთაების ხატებაშიც... სამსხვერპლოზე ფუძის ანგელოსთან ერთად იდექი და მისთვის აელვარებულ კელაპტრებთან შენც მოგმართავდი თაყვანისცემითა და ლოცვით.

ჩემს ოცნებებში, ყველა ჩემს იმედსა და ყველა ჩემს სიყვარულში, ჩემი სიცოცხლის მომნიჭებელსა, თუ ჩემს ცხოვრებაში — შენი სული განაგრძობდა უხილავ არსებობას. ჩვენი კერიის წარმმართველი უკვდავი სულიც ხომ გამუდმებით სათუთად გევლება თავს...

ჩემი გულის ყოველი აფეთქება შენს არსებობას ჰაერში გაბნეულ, მხოლოდ მისთვის ნაცნობ, უსაოცრეს სურნელებაში შეიგრძნობა... ჩემი სხეულის თითოეული ნაწილი ხავერდოვანი ხდებოდა შენი ნაზი, ფაქიზი სინორჩის შეგრძნებით, მსგავსი იმ ვარდისფერი ანარეკლისა, რომელიც წინ უსწრებს ახლადშობილი დღის პირველ ამოსუნთქვას.

უზენაესის რჩეულო! შენი ტყუპისცალი სხივი იყო — დღის დაბადების მაუწყებელი... არაამქვეყნიურმა, ღვთიურმა ცხოვრებამ თავისთან ინება შენი წაყვანა, მაგრამ, საბოლოოდ, ჩემს გულთან დაგაკეცვინა ფიფქისფერი ფრთები...

...როდესაც შენი სახის ხილვით ვტკბები, იდუმალების ტალღა მიტაცებს და მძირავს თავის ნისლისფერ ზვირთებში:

— შენი, თავი, მოვლინებული კაცობრიობისათვის, მომაკუთვნეს მე!..

...შიშის გამჭოლი ძაფი შემოებურა ჩემს გულს — რომ გამისხლტე?! მაგრამ გულში ჩაკრული მყავხარ, ძვირფასო.

და მე, უსაზღვროდ ბედნიერი და ამავდროულად გაოცებულიც, ვკითხულობ:

— რომელმა ზებუნებრივმა ძალამ მიანდო ჩემს ნაზ ხელებს ეს მსოფლიო საგანძური?

## სიზმარი

ტკბილი ბურანი ნელ-ნელა ეშვება ჩვილის თვალებზე.

— საიდან მოაშრიალებს თავის მოსასხამს სიზმრების შემოქმედი?

— ამბობენ, — დაბურულ ტყეში, ციცინათელებით აფერადებულ, ჰაეროვანი ფერიების საბრძანისში ცხოვრობსო ძილი.

...ერთმანეთს შეჰყურებენ ხიბლით სავსე ყაყაჩოს კოკრები და ისე იშლებიან, თითქოს არარსებული სატრფოს მოლოდინში აფორიაქებულიყვნენ, მაგრამ.. იქნებ იმიტომაც ღელავენ, რომ ძილი მოემგზავრება, რათა პირველად ეამბოროს ახლადმოვლენილი პატარა არსების თვალებს?!

— უცისფრეს ზმანებებში ჩაძირული ჩვილის ბაგეზე წარმტაცი ღიმი თრთის.

— ხომ ვერ მეტყოდით, საიდან მოვიდა იგი?

— ამბობენ, სიცივისაგან ფერმიმქრალი ნახევარმთვარე მსუბუქად შეეხო შემოდგომის ღრუბლის ნაპირს მაშინ, როცა ის ციურ უსაზღვროებაში გაუჩინარებისთვის ემზადებოდა... და სწორედ იქ, მინდვრის ყვავილთა ღამეული ცრემლით დანამულ დილის სიზმარში დაიბადა ღიმილი; ღიმილი, რომელიც ნარნარებს ჯერ კიდევ სამყაროშეუცნობელი ადამიანის ბაგეზე...

უნაზესი სინორჩეა მუხლჩახრილი ჩვილის სხეულის თითოეულ ნაკვთთან.

— სად იმალებოდა იგი ამდენ ხანს?

— ეს სინორჩე, დღეს ბავშვში განივთებული, ერთ დროს დედის გულში იყო ჩაფურცვლილი — იასამანივით ნაზი და ტირიფზე ჩამოფენილი თოვლივით გარინდებული იდუმალება სიყვარულისა!

ფრანგულიდან თარგმნა **ლელა ქალდანმა**

# აქეთური-იქითური

აქეთური-იქითური

## ქორწინება მართლა ზეცაში ხდება?

აღმოსავლეთის ქვეყნებში ეჭვიანობის გამო მამაკაცები ერთმანეთთან არ მეგობრობდნენ. ვერავინ ბედავდა მეგობრის შინ მიპატიჟებას იმის შიშით, რომ იგი შემდგომში მისი ცოლების საყვარელი გახდებოდა. ამიტომაც, მთელს აღმოსავლეთში ოჯახები ისე იყვნენ ერთმანეთს ჩამოცილებული, როგორც დამოუკიდებელი სამთავროები, გასაკვირი არაა, რომ აღმოსავლეთის დიდი მეუფე ხოლომონი, რომელსაც 700 ცოლი და 300 მხევალი ჰყავდა, უმეგობროდ ცხოვრობდა. რამდენად ბედნიერი იქნებოდა ერთი ცოლი, ერთი საყვარელი და ბევრი მეგობარი მაინც რომ ჰყოლოდა!

ძველ ბრიტებში გავრცელებული იყო ორიგინალური ქორწინება: რამდენიმე მამაკაცი, (დაახლოებით 10-12), თავდამსხმელისაგან თავის დასაცავად ერთ საზოგადოებად ერთიანდებოდა. ამ გაერთიანების განსამტკიცებლად კი მათ საერთო ცოლები (10-12) მოჰყავდათ, ახევე საერთო ჰყავდათ ბავშვები, რომლებზეც თანაბრად ზრუნავდნენ.

*

ტონკინოში (ჩრდ. ვიეტნამი), როცა ვემები ლუზას ჩაუშვებდნენ, მეზღვაურები ერთი სეზონით ირთავდნენ ცოლს. სამაგიეროდ ისინი დარწმუნებულნი იყვნენ დროებითი ცოლების ერთგულებაში.

ძველ სპარტაში ქორწინება კანონით მტკიცდებოდა — ცოლქმარს აიძულებდნენ ცალცალკე ეცხოვრათ. ისინი ერთმანეთს სხვებისაგან ფარულად ხვდებოდნენ. ამგვარი დაბრკოლება აძლიერებდა სიყვარულს, მეუღლეებს არ ბეზრდებოდათ ერთმანეთი.

როცა რომაელთა შორის განქორწინება ნებადართული გახდა, ქორწინება გაიშვიათდა, ამიტომ ავგუსტი იძულებული შეიქმნა ძალად დაექორწინებინა მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები, ურჩობისათვის კი სასჯელი შემოიღო. ასეთი მდგომარეობა თითქმის არც ერთ ქვეყანაში და არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოგწონთ? —შეკერეთ თქვენი ძველი კაბი-საგან



მძიმე დრო დაგვიდგა. მრავალ ოჯახში ბავშვისათვის ლამაზი ტანსაცმლის შეძენა ოცნებად იქცა. რა ვქნათ? არ დავიზაროთ, მოვინდომოთ, საკუთარი ხელით შევუკეროთ პატარას კაბა ან შარვალი, რაშიც ჩვენი ჟურნალი დაგეხმარებათ.

ლამაზად ჩაცმა მარტო უფროსს როდი სჭირდება. თუ კი შვილს ბავშვობიდანვე არ განუვითარებთ სილამაზის გრძნობას, მომავალში ის მოკლებული იქნება უამრავ ემოციურ შეგრძნებას. სიტყვა „ლამაზი" ბავშვისათვის სრული-



ადაც არ უნდა ნიშნავდეს ძვირად ღირებულს. მაგრამ ნურც იმაზე გაკიცხავთ, თუკი სურვილი აქვს ლამაზად ეცვას.

თუ გოგონა გყავთ, ეცადეთ, ბავშვობიდანვე მიაჩვიოთ სიკოხტავეს და კოპწიაობას.

ამჯერად გთავაზობთ კომბინიზონის თარგს. თუ ქსოვილს სიგანე 140-სმ აქვს, სულ დაგვჭირდებათ 80 სმ. პატარა სიგანის შემთხვევაში კი 150-160 სმ. თუ ახალი ქსოვილი არა გაქვთ, შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი ძველი კაბა, რომელსაც აღარ ხმარობთ. ქვედა ბოლოს გამოყენებაც შეიძლება, თუ იგი ფართოა. შეეცადეთ უფრო მხიარული ფერები შეარჩიოთ, ამდაგვარი კომბინიზონი ზამთრისთვისაც შეიძლება შეკეროთ და შიგნიდან ჩააცვათ თბილი ჯემპრი (ამ შემთხვევაში შეიძლება საყელო აღარ იყოს საჭირო). კომბინიზონი იმითაც არის კარგი, რომ იგი შეგიძლიათ შეკეროთ როგორც საგარეო (გამოსასვლელი), ასევე ყოველდღიურ სახმარად. აქ უკვე მნიშვნელობა ქსოვილს, საყელოს და ბაფთებს ენიჭება. მაგ: მუქი ლურჯი ქსოვილი სადღესასწაულო ელფერს შეიძენს, თუ კი მას თეთრი, ლამაზი საყელოთი და ატლასის ლურჯი კანტებითა და ბაფთებით გააწყობთ.

ბავშვის სიმაღლე 104-110 სმ უნდა იყოს. მკერდის გარშემოწერილობა 58-59 სმ, წელის ზომა — 55-56 სმ, თეძოს — 62-64 სმ. თარგის კუთხეებში არსებული ციფრები, რომლებსაც წერტილებით აღვნიშნავთ, მათი შეერთების ადგილებია.

ქსოვილზე გათხელებული, მშრალი საპნის მეშვეობით ქაღალდის უკვე გამზადებული დეტალებიდან შემოხაზეთ თარგი. ნაპირებიდან დატოვეთ 2-2 სმ, რათა შესაძლებელი გახდეს ზუსტად თარგის ხაზზე მანქანის ნაკერის-გვირისტის გავლება. შარვლის ბოლოები სასურველია ფერადი ლენტებით გაახალისოთ. თუ ლენტი არ გექნებათ, რეზინით მოანაოჭეთ. ასეთივე ლენტისაგან გაკეთდება საყელოს ბაფთა. საყელო უმჯობესია ორმაგი იყოს. უკანა საყელო განცალკევებულია, რადგანაც ზურგზე კომბინიზონი კისრიდან დაწყებული ელვით („ზმეიკა") იკვრება. საყელოს ნემსით და ძაფით დაამაგრებთ. თქვენი ცუგრუმელა კმაყოფილი დაგირჩებათ.

**თამარ ბებეჭკორი**

## ინდოელ კოსმეტოლოგთა რჩევები

# სილამაზე და სამკურნალო მცენარეები



**ძვირფასო ქალებო! ახლა ზაფხულია და სრულიად ბუნებრივია თქვენი სურვილი მიმზიდველად გამოიყურებოდეთ. მოგაწვდით რამდენიმე რჩევა-დარიგებას, რომლებსაც ინდოელი სპეციალისტები გვთავაზობენ და, რაც მთავარია, ნებისმიერი თქვენთაგანისათვის ხელმისაწვდომი იქნება.**

**კომბოსტო** — შეიცავს სახის კანისათვის სასარგებლო არაერთ ვიტამინსა და მინერალს. ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ არ გადააქცევთ კომბოსტოს ნახარშს. გააციეთ იგი და ჩამოიბანეთ სახე. ეფექტი გარდაუვალია.

**ხახვი** — ანტისეპტიკია. თუ სახეზე ლაქებს შეამჩნევთ, ნუ დაღონდებით, აიღეთ ხახვი, გამოწურეთ წვენი და დაიდეთ მასში დასველებული საფენები. ხოლო თუ ცოტაოდენ თაფლსაც დაუმატებთ, ნაოჭების საწინააღმდეგო შესანიშნავ საშუალებას მიიღებთ.

**პამიდორი** — ეს ბოსტნეული შეიცავს პოტასიუმს და ვიტამინს. სწორედ ამიტომ იგი გამოიყენება ფერიმჭამელების წინააღმდეგ. განსაკუთრებით ეფექტურია ცხიმიანი კანისათვის.

**კარტოფილი.** თვალებში სარკესავით აირეკლება ადამიანის განწყობა. ღალღილობის დასაფარავად დაჭერით უმი კარტოფილი თხელ ნაჭრებად და დაიდეთ თვალებზე რამდენიმე წუთით. შედეგი სასურველი იქნება.

**ატამი** — არა მარტო არომატული საკვებია, ასევე კარგი საშუალებაა მშრალი კანის გასაწმენდად. ამისათვის კარგად ჩამობანილ სახეზე უნდა წაისვათ ატმის ფაფისებური მასა და გაიჩეროთ 25-30 წუთი.

**ოხრახუში.** თუ თქვენ თირკმლები გაწუხებთ, ექიმის მიერ დანიშნულ მკურნალობას დაუმატეთ კიდევ ერთი, ხელმისაწვდომი საშუალება, კერძოდ, ოხრახუში. მიიღეთ იგი რაც შეიძლება მეტი რაოდენობით. იგი ასევე შესანიშნავი საშუალებაა საშარდე სისტემის მუშაობის მოწესრიგებისათვის.

**ჩაი.** უამრავ ღირსებასთან ერთად ჩაის აქვს უნარი დააწყნაროს და გაახალისოს სახის კანი და ამის მიზეზია, მასში ტანინის შემცველობა. ის ასევე გამოიყენება დამწვრობის საწინააღმდეგო საცხებლებში. ერთჯერადი ჩაი კი უკვე გამზადებული საშუალებაა თვალების ღალღილობის მოსახსნელად. დასველებული ერთჯერადი ჩაის პაკეტი დაიდეთ თვალებზე 20-25 წუთით.

**ნესვი.** ნუ გაიმეტებთ ნესვის ნაჭრების ქერქს გადასაგდებად, რადგან იგი შესანიშნავად ასუფთავებს და ახალისებს სახის კანს.

**მარილი.** დღევანდელ პირობებში, როცა კოსმეტიკური და ჰიგიენური საშუალებები არცთუ ადვილი ხელმისაწვდომია, საინტერესოა კბილის ფხვნილის დამზადების საშინაო რეცეპტი. ის ძალიან მარტივია: თანაბარი რაოდენობის მარილი და სოდა აურიეთ ერთმანეთში და მიიღებთ შესანიშნავ კბილის ფხვნილს.

**შაქარი** ასევე ეფექტური საშუალებაა სახის კანის გასაწმენდად. სახის დაბანისას საპონთან ერთად შეიზილეთ შაქარიც. კარგად ჩამოიბანეთ. შემდეგ კი სასურველია წაისვათ ლიმონის წვენი.

**წიგნიდან „სილამაზე და სამკურნალო მცენარეები" (გამოცემულია ინგლისურ ენაზე დელიში).**

მოამზადა **ინგა ნამთალიშვილმა**



ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია

# პრაქტიკუმი

ვაგრძელებთ საუბარს ჩვილის მოვლის შესახებ სიცოცხლის პირველ ხანებში. დღეს თქვენ კონსულტაციაზე ბრძანდებით ცნობილ ჩეხ პედიატრთან მიროსლავ მატოუშეკთან. სანამ შეკითხვას დაუსვამდეთ, ისიც მოისმინეთ, რას ეკითხებიან სხვა დედები.

## პირველ ხანებში

**— ბანაობის დროს რამდენი ხანი ვამყოფოთ წყალში?**

— მხოლოდ იმდენი, რაც საჭიროა საპნის მოსაცილებლად. როცა წამოიჩიტება, მაშინ შეიძლება მეტ ხანს ვანებივროთ წყალში. საპნის მოცილებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ნაკეცებს, შიგ არ ჩაგრჩეთ საპონი და ჭუჭყი. თუ ნაჭრით ბანთ, ის ნაჭერი ხშირად უნდა გამოიხარშოს. ბავშვი აბაზანაში ისე უნდა დაიჭიროთ, რომ მისი კეფა და ბეჭები თქვენს მარცხენა ხელს ეყრდნობოდეს. მარცხენა ხელის ცერით და სხვა თითებით კი მაგრად უნდა გეჭიროთ მისი მარცხენა მხარი. როცა ზურგს ბანთ, ასევე ბავშვის მკერდი (მარჯვენა მხრიდან) უნდა დაეყრდნოს თქვენს მარცხენა მკლავს. ყურადღებით იყავით, რომ ნაბანი წყალი ბავშვს ცხვირსა და პირში არ ჩაუვიდეს.

თუ ცაცია ხართ, ყველგან, სადაც წერია „მარცხენა“, თქვენ უნდა შეცვალოთ „მარჯვენით“.

**— მე მეგონა თოთო ბავშვი კი არ უნდა შეამშრალო, არამედ გახვიო ხაოიან პირსახოცში.**

—ეს მხოლოდ ახალდაბადებულებს ეხებათ, რომლებსაც ისეთი ნაზი კანი აქვთ, რომ შემშრალებისას შეიძლება დაუზიანდეს. წამოჩიტული კი კარგად უნდა გავამშრალოთ.

ხაოიან პირსახოცზე გაშალეთ სუფთად გარეცხილი და გაუთოვებული ნაჭერი. სისველეს ძირითადად ის იწოვს. ეს ნაჭერი ყოველდღე გარეცხეთ, ხაოიანი — უფრო ნაკლებად.

**— როგორ გავუწმინდოთ ცხვირი და ყურები?**

— ჩხირზე მჭიდროდ უნდა შემოვახვიოთ ბამბა, შემდეგ გამოვაძროთ ჩხირი და ხელთ შეგრჩებათ კარგად დახვეული ბამბა. ეს ბამბა დაასველეთ ანადუღებ წყალში და ფრთხილად (რჟსაკვირველია, უჩხიროდ, შეუყავით ცხვირში, ან ყურში და წრიულად დაატრიალეთ. თითოეულ ნესტოსა და ყურისთვის ახალი ბამბაა საჭირო. ეს „ტამპონები“ სქელი არ უნდა იყოს. ყურის ნიჟარა წმენდისას ფრთხილად ასწიეთ ზევით და უკან.

**— მიჭირს თვალში წამლის ჩაწვეთება, რადგან თვალს ხუჭავს.**

— ეს გასაკვირი სულაც არ არის. ნუ ცდით ჩაწვეთებას ნათურის ძლიერ სინათლეზე. სინათლე გვერდიდან ან უკნიდან უნდა ანათებდეს.

თუ ქვედა ქუთუთოს თითით ჩამოუწევთ, თვალი აუცრემლდება და ქუთუთო ხელიდან გაგისხლტებათ. ამიტომ წინდაწინ გაამზადეთ მარლის პატარა კვადრატული ნაჭრები.

მარცხენა ხელით მარლის კვადრატი დაადეთ ქვედა ქუთუთოზე, მსუბუქად ჩამოუწიეთ ქუთუთო. წამწამებს ხელს ნუ ახლებთ. მარჯვენით აიღეთ საწვეთური (პიპეტკა) და 3-5 სმ-ის სიმაღლიდან ერთი წვეთი ჩაასხით თვალში. საწვეთური უნდა გეჭიროთ არა ვერტიკალურად, არამედ დახრილი, როგორც საწერად გამზადებული ფანქარი. თუ მეტი წვეთი ჩაგესხათ, არა უშავს, ზედმეტი თვითონ გადმოდინდება და მარლით მოწმენდთ.

ყურადღება მიაქციეთ, რომ თვალის წვეთები არ აგერიოთ სხვა წამლებში, თორემ შეიძლება გამოუსწორებელი რამ მოხდეს.

კონიუნქტივის ანთებისას ბავშვს თვალი სწრაფად, კონვულსურად ეხუჭება. ამიტომ ზედა და ქვედა ქუთუთოსათვის გამოიყენეთ მარლის ორი ნაჭერი. ბავშვის თავი ვინმემ დაიჭიროს. პროცედურა სწრაფად დაამთავრეთ.

**— ჯერ მისთვის ფეხზე ფრჩხილი არ დამიჭრია.**

— ჩანს კიდეც, სახე დაკაწრული აქვს და თუ არ დააჭერით, უფრო მეტად დაიკაწრავს. არსებობს ცრურწმენა: თოთო ბავშვს ფრჩხილი არ უნდა მოაჭრათო, მაგრამ ეს სწორი არ არის. ბავშვს ფრჩხილი სწრაფად ეზრდება და კვირაში 2-ჯერ მაინც უნდა მოეჭრას.

შესაძლოა ეს მაშინაც გააკეთოთ, როცა ბავშვს სძინავს.



პირველი წელი არის პირველი ნაბიჯის, პირველ სიტყვის, პირველი სიხარულისა და დარდის წელი. დღეს გესაუბრებით ბავშვის გონებრივ განვითარებაზე. ყოველკვირეული „არგუმენტი ი ფაქტი“ თვლის, რომ

## დედები და შვილები

იზრაელში 30 ქალმა მონაწილეობა მიიღო ორიგინალურ ექსპერიმენტში. მშობიარობის ათი წუთის შემდეგ თითოეულ მათგანს ზეწარში გახვეული სამი ახალშობილი მიუყვანეს, მათ შორის ერთი — საკუთარი. ახალგაზრდა დედების [illegible] პროცენტმა თავისი პირმშოს ზეწარი სუნით ამოიცნო. ერთი საათის შემდეგ ცდა გაიმეორეს — ყველა დედამ უშეცდომო არჩევანი გააკეთა. გარკვეული დროის შემდეგ დედებს თვალები აუხვიეს, ნესტოები დაუხშეს და სთხოვეს სამივე ახალდაბადებულის ხელისგულებს შეხებოდნენ. ქალების [illegible] პროცენტმა უბრალო ხელისშეხებითაც ამოიცნო თავისი შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშობლებისათვის

## როგორ უნდა განვავითაროთ ბავშვი გონებრივად

20037

აუცილებელი პირობაა, რაც შეიძლება მეტი ელაპარაკოთ და ეთამაშოთ ბავშვს. რეცხვის, დალაგების, საჭმლის მომზადებისა და ბავშვის გადახვევის დროსაც. ელაპარაკეთ. რაც შეიძლება ხშირად დაიხარეთ ბავშვის საწოლთან და ეცადეთ მასთან თვალებით დაამყაროთ კონტაქტი. ელაპარაკეთ მშვიდი, ალერსიანი ხმით (ჩვეულებრივზე ოდნავ ხმამაღლა) და აუცილებლად გაიღიმეთ. 3-4 თვის პატარა, ჩვეულებრივ, უკვე პასუხობს ღიმილით და ღუღუნით, ნუ გააწყვეტინებთ მას, დაე, ეს ნამდვილ საუბარს ჰგავდეს.

სამი თვის ბავშვის საწოლზე უკვე შესაძლებელია ჩამოვკიდოთ სათამაშოები, ჩვილი უნდა მიეჩვიოს მოძრავ, მკვეთრ საგანზე თვალის გაყოლებას. სასურველია ბავშვთან ურთიერთობის დროს გეცვათ მხიარული ფერის ტანსაცმელი.

კვების რაციონის შეცვლისას ნუ ეცდებით ბავშვს ძალით ჩატენოთ პირში ახალი საკვები. არ სურს ჭამოს ბოსტნეულის პიურე? — ნუ მისცემთ, არ არის საჭირო! ერთი კვირის შემდეგ კვლავ შეეცადეთ გაასინჯოთ იგივე სახის საკვები, ოღონდ არა უმეტეს ერთი კოვზისა. საკვების შეცვლა ნერვიული ბავშვისთვის სერიოზული ემოციური ტრავმაა.

ხშირად 6-7 თვის ბავშვის მშობლებს ეჩვენებათ, რომ ბავშვი უმიზეზოდ ჭირვეულობს, მას კი უბრალოდ ალერსი აკლია. მიაგორეთ ლოგინი ან მანეჟი სამზარეულოს კართან, ან დააწვინეთ ის ტახტზე, სადაც თქვენ ხართ. მიეცით მას ხის კოვზი, ან რაიმე ნივთი, თქვენ კი განაგრძეთ თქვენი საქმე — კერეთ, რეცხეთ, აუთოვეთ, ოღონდ აუცილებლად ელაპარაკეთ ბავშვს ნებისმიერ თემაზე, იქნება ეს მენიუ, ამინდი თუ ზღაპარი.

ამ ხნის ბავშვს უჩნდება შიშის გრძნობა: იგი რეაგირებს ყავის საფქვავის ხმაზე, მტვერსასრუტის ჩართვაზე და იწყებს ღრიალს. ეცადეთ ბავშვს აარიდოთ ყველა ის სიტუაცია, რომელიც მას შეაშინებს ან გააღიზიანებს. თუ ეს ვერ მოხერხდა, შეშინებული პატარა მაშინვე აიყვანეთ, მოეფერეთ და ალერსიანი სიტყვებით დაამშვიდეთ.

რვა თვის ბავშვს უკვე უნდა ეთამაშოთ. ყველაზე გავრცელებულია „დახუჭობანა". („სად არის დედა? არ არის დედიკო! ჭიტა, დედიკო!"). ნერვიული ბავშვები ათამაშეთ კუბიკებით, პირამიდების აწყობით. მათ ძალიან უყვართ მოძრავი ბორბლიანი სათამაშოები. ასეთ ბავშვებს არ ულიტინოთ, არ აისროლოთ ზემოთ და არ არყიოთ ისტერიკამდე. ამის შემდეგ ნერვიულ ბავშვებს ძილი უკრთებათ.

9-10 თვის ბავშვი უკვე ამბობს პირველ მარტივ სიტყვებს: დედა, მამა, პაპა ყოველდღე ავარჯიშეთ ლაპარაკში. მაგალითად, მიეცით თოჯინა და დაარქვით მას სახელი. ჯერჯერობით ყალიბდება პასიური მარაგი. თუ როგორ ითვისებს და როგორ შეუძლია ბავშვს ერთი საგანი განასხვავოს მეორესაგან, ამის გასაგებად, პატარას დაუსვით შეკითხვები: „სად არის ბურთი? თოჯინა? მაჩვენე დათუჩა, მომეცი ბუშტი" და სხვა.

10 თვის ბავშვს უკვე ესმის „არ შეიძლება" მნიშვნელობა. მაგრამ უნდა მოიქცეთ ასე: ბავშვს ართმევთ მამის საათს და სამაგიეროდ აუცილებლად აძლევთ რაიმე მისთვის უფრო საინტერესო ნივთს. დათუთხნული ხალიჩა, გაწებილი ავეჯი, გამოღებული კარადები — ამას ვერც ერთი მშობელი ვერ გაექცევა, რადგან ბავშვი სწორედ ასე ეცნობა სამყაროს. მიეჩვიეთ და ნუ გაუწყრებით პატარა ადამიანს — ის ხომ უკვე პიროვნებაა და მასთან ბრძოლა არ არის საჭირო.

თუ თქვენ ეს ერთი წელი სწორად ზრდიდით ბავშვს, მას უკვე უნდა შეეძლოს 10-12 სიტყვის თქმა და სხვადასხვა მარცვლისაგან შედგენილი უაზრო სიტყვების წარმოთქმა, რაიმე საგანზე ყურადღების მიქცევა, პირამიდის აწყობა, (თუნდაც არასწორად), დასახელებული ნივთის-ბურთის, თოჯინის მოწოდება. ინტონაციის გარჩევა და მასზე სწორად რეაგირება. თუ ეს გამოგდით, ე. ი. ყველაფერი კარგადაა და ახლა სხვა მიზნის დასახვაც შეიძლება.

## ვულოცავთ

ჩვენს პაწაწას, პატარა შაკოს ვულოცავთ დაბადების დღეს და ნათლობას. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს.

მშობლები: მარინე ნაკაიძე,
მერაბ ჩაბუნაია.





საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლი+ქმარი=?..

# შეაკეთიებს?



იმ დღეს ნამდვილად მარცხენა ფეხზე ავდექი. დილიდანვე უგუნებოდ ვიყავი. ყველაფერი ნერვებს მიშლიდა. შედეგმაც არ დააყოვნა. მე და გიამ მაგრად ვიჩხუბეთ. მიზეზს ნუ მკითხავთ... ჩემი გარეცხილი პერანგი ხელახლა გარეცხა. არა, საყვედური არ უთქვამს. პერანგი კარადიდან გამოიღო, კარგად შეათვალიერა, ერთი კი ამოიოხრა და აბაზანაში შევიდა.

ეს იყო და ეს.

— ახლა დაიწყება, — ჩაილაპარაკა ჩემმა დედამთილმა, ბავშვს სასწრაფოდ ჩააცვა და ეზოში ჩაიყვანა.

აბაზანაში შევედი. გია რეცხავდა, თან ღიღინებდა.

— ცუდი გარეცხილი იყო? — ვკითხე, რაც კი შემეძლო, წყნარად, თუმცა სიბრაზე მახრჩობდა.

— ძალიან კარგი გარეცხილი იყო, ოღონდ საყელოზე და ჯიბეზე ლაქები ჰქონდა, — მიპასუხა გიამ და თვალი ჩამიკრა.

— შენ შენი მეგობრები გააშაყირე, — ახლა კი ვერ შევიკავე თავი და პირდაპირ შეტევაზე გადავედი, — ვერაფერს ვერ ვაკეთებ შენს მოსაწონს.

გიამ სარეცხს თავი მიანება და ხელები მომხვია. სასწრაფოდ მოვიშორე.

— ნინო, რატომ მეჩხუბები? გითხარი რამე?

— თქმა რად უნდა, ისედაც კარგად ჩანს ყველაფერი.

— დღეს რაღაც ვერ ხარ ხასიათზე.

— შენს ხელში კიდევ კარგად ვარ...

— რა გინდა, გამაგებინე, — შევატყვე მოთმინებიდან გამოდიოდა.

— რა უნდა მინდოდეს შენგან. თუმცა უარესი მეკუთვნის, თავი რომ გაგიყადრე და ცოლად გამოგყევი. ჩემი მშობლები რომ არა, შენ და დედაშენს შიმშილით სული გაგძვრებოდათ.

გიამ პასუხი არ გამცა, აბაზანიდან გავიდა. კარის გაჯახუნების ხმა მომესმა.

დღესაც მთვრალი მოვა, თანაც გაბრაზებულია. ღმერთო, რა გამაძლებინებს. მეც კარგი ვინმე ვარ, ენა ვერ გავაჩერე?.. ან რას ვაყვედრი, განა თვითონ თავგადადებული არ მუშაობს?

ადგილს ვერ ვპოულობდი. ოთახიდან ოთახში დავბორიალობდი. ფანჯარასთან მივედი. ცაზე შავად მოქუფრული ღრუბლები თითქოს ჩემს გულს დააწვა მძიმედ. აივანზე გავედი სარეცხის ჩამოსახსნელად. წვიმის

## ოჯახური ურთიერთობის ანაბანა

# ამას ვამბობ დედამთილი

რძალი სხვისი შვილია, სხვა ოჯახში, სხვა გარემოში აღზრდილი. ამიტომ ნუ გიკვირთ, თუ მას თქვენგან განსხვავებული აზრი, გემოვნება და საქციელი აქვს.

რძლის კარგი ქალობა და გამოდგომა დამხვდურზე, დედამთილზეა დამოკიდებული.

რძალმა რაც არ უნდა დააშავოს, დედამთილმა მისი დედა აუგად არ უნდა მოიხსენიოს.

რძლის დაუნახაობა და ხიანჩხლე დედამთილის გონიერებით გამოსწორდება.

რძალი რომ დედას აქებს, ზოგ დედამთილს გულზე ლახვრად ესობა. ეს არ უნდა გეწყინოთ, დედა ხომ შეუცვლელია. გარდა ამისა, ახალგაზრდა ქალი დედის მონატრებას ასე გამოხატავს.

არც ერთი რძალი არ ამბობს, დედაჩემი ავია, დედამთილი კეთილიო, მაგრამ დრო გავა და იგი თქვენს სიკეთეს უთუოდ დაინახავს.

რძალმა არ უნდა გაალოს დედამთილის დაკეტილი კარადა. თუ გამოაღო, აპატიეთ, ცნობისმოყვარეობამ გააკეთებინა. სამაგიეროდ, თქვენ ნუ ჩაიხედავთ მის უჯრაში.

დედამთილს რძლის კრიტიკის სურვილი რომ მოეძალება, გაიხსენოს, ერთ დროს თვითონაც რძალი იყო და...

რძალი დასაფასებელია, მისი შემოსვლა ოჯახში ამაღლებს ჭერს, აძლიერებს და ახალისებს ოჯახს, აძრავლებს შთამომავლობას და, რაც მთავარია, ხშირად საქვეყნო საქმესაც კარგად უძღვება.

ამბობენ, თუ რძალი და დედამთილი ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვეთები ნემსებივით მესობოდა. სასწრაფოდ შევბრუნდი ოთახში.

დღემ უაზროდ ჩაიარა. ჩამობნელდა. წვიმა არა და არ წყდებოდა. გიაც არ ჩანდა.

ბავშვი დავაძინე. დედამთილი ერთხანს უხმოდ იჯდა, შემდეგ მომიახლოვდა და მკითხა:

— ნინო, სად წავიდა გია?

— არ ვიცი.

— შვილო, გიას ძალიან უყვარხარ. შეიძლება ბევრ რამეში ცდებოდეს, მაგრამ შენც თუ არ დაუთმე, გაგიჭირდებათ ერთად ცხოვრება.

პასუხს არ დალოდებია, ღვთისმშობლის ხატთან მივიდა, რაღაც შესთხოვა, პირჯვარი გადაიწერა და თავის ოთახში შეიკეტა.

უსიამოვნო გრძნობამ შემიპყრო. სავარძელში ჩავესვენე და კითხვა ვცადე. ასოები აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. მათი დევნის თავი ნამდვილად არ მქონდა და წიგნი გვერდზე მივაგდე. ტელევიზორს მივაშტერდი. პრიმიტიულ სიუჟეტიან ფილმს უჩვენებდნენ. გოგოს ვიღაც უყვარს. ბიჭი კი სხვაზეა გამიჯნურებული.

რა ატირებს ამ სულელს. სატირალად მაშინ ექნება საქმე, იმ ჩერჩეტმა კაცმა ცოლად რომ მოიყვანოს, — გავიფიქრე და ტელევიზორი გამოვრთე.

საათს შევხედე, თორმეტი სრულდებოდა. გია კვლავ არ ჩანდა. სიბრაზე შიშმა შეცვალა

სად არის ამდენ ხანს? ამ ბოლო დროს მაინც რა ხშირად ვჩხუბობთ. სამი თვის წინათ ისე დავერიეთ ერთმანეთს, არ მეგონა, ჩვენ თუ რამე შეგვარიგებდა. მაშინ სწორედ სულზე მოგვისწრო ზაფხულმა. გიამ აგარაკზე წაგვიყვანა. თბილისში რომ ბრუნდებოდა, შაბათს ჩამოგაკითხავთო, დამიბარა. შეგიძლია სულ არ ჩამობრძანდე-მეთქი. მაშინ მართლა სულ ერთი იყო, ჩემს გვერდით იქნებოდა, თუ არა.

გავიდა ერთი დღე, ორი, სამი... შაბათი ახლოვდებოდა. ჩემდა გასაკვირად, საათებს ვითვლიდი.

— მამა მალე ჩამოვა? — მეკითხებოდა ზურიკო.

— მალე ჩამოვა, — ვპასუხობდი, თუმცა ეჭვი არ მასვენებდა, „რომ არ ჩამოვიდეს?"

ზურიკოზე ნაკლებად არც მე გამხარებია გიას დანახვა.

— ბავშვს ერთი სული ჰქონდა შენს ჩამოსვლამდე, სულ შენზე მელაპარაკებოდა.

— შენ?

— შენ წარმოიდგინე, მეც...

გიას სახე გაუბრწყინდა.

— ნინიკო, იცი, ძილის წინ შენსა და ზურიკოს სურათებს ვკოცნი, გულში ვიხუტებ და ისე ვიძინებ. მართლა, შენს თავს გეფიცები...

მოგონებებმა გული გამითბო.

— რა სულელი ვარ. რა იყო საჩხუბარი. სხვა მის ადგილას შავ დღეს დამაყრიდა. სად არის ამდენ ხანს, ნეტავი მალე მოვიდოდეს...

გასაღების ჩხაკუნი მომესმა. კარი გაიღო. გია შემოვიდა, სულ ერთიანად გალუმპულიყო.

— რატომ არ გძინავს? ოღონდ არ მითხრა, ვნერვიულობდიო.

— აბაზანაში შედი, ცხელი წყალი გადაივლე, მანამდე ჩაის გაგიმზადებ.

— გეშინია არ გავცივდე? წადი, დაიძინე, შენგან არაფერი მინდა...

სახე ამეწვა. საჭირო სიტყვებს დავუწყე ძებნა.

მეც სულელი ვარ, რას გელოლიავები, — მიკარნახა სადღაც, კუთხეში მიკუნჭულმა თავმოყვარეობამ და მეც დაუფიქრებლად გავიმეორე.

— არა, ნამდვილად მარცხენა ფეხზე ავდექი იმ დღეს...

ახლა რა? ხუთი თვეა ერთმანეთს არ ველაპარაკებით. ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა. საყვარელი ადამიანი ლამის მტრად გადავიკიდე. მერედა, რისთვის? ამას წინათ ჩემს მშობლებთან წავედით მე და ზურიკო. ყველაფერი თავზესაყრელად გვქონდა, მაგრამ ერთ თვეზე მეტი ვერ გავძელი. ახლა კი ვნანობ ჩემს სიტყვებს... მაგრამ მეც ვიცი, ყველაფერს ჯობია, პატიება ვთხოვო გიას, მაგრამ რომ არ მაპატიოს, მაშინ? მაშინ ხომ საბოლოოდ გაიყრება ჩვენი გზები. თუმცა სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. უნდა იგრძნოს, რომ მიყვარს, რომ ახლა ყველაფერს სხვაგვარად ვხედავ.

დღეს გადაწყდება ჩემი ბედი...

მარინე ნაკაიძე

---

ივე კარგია, ურთიერთობა ნორმალური აქვთო.

ოჯახში ვინ იძლევა ზრდილობის მაგალითს? რა თქმა უნდა, დედამთილი. რძალთან სალაპარაკო ენა ყოველთვის ზრდილობიანი, კეთილმოსურნე უნდა იყოს. ქალიშვილს როგორც გინდათ ისე ელაპარაკეთ, ის გაპატიებთ, მაგრამ რძალი არ გაპატიებთ, გიპასუხებთ და დამარცხდებით.

ბევრი რძალი ამბობს, დედაჩემს ყველაფერს ვეტყვი, დედამთილს ვერ გავუბედავო, რა ვუყოთ მერე, დედა დედაა!

როცა რძალი მშობიარობს, დედამთილი გახარებულია — ბიჭი გვინდაო, დედა კი ტირის, სულერთია რა ეყოლება, ოღონდაც შვილი გადაურჩეს. ამიტომ ნუ უკვირთ დედამთილებს, თუ დედა უფრო ახლოა გულთან.

არ შეიძლება რძლის პირად საქმეში ჩარევა: რას იყიდის, რას ჩაიცმევს, რას გააჩუქებს, თმას როგორ დაივარცხნის, ვისთან მეგობრობს, როგორ დაალაგებს ავეჯს, როდის წავა, როდის მოვა. შენ შენი საქმე გააკეთე, გაზარდე შვილიშვილები, ჰქენი მადლი, უფრო დაფასდები...

თუ დედამთილი ნერვიულობს, ჩემი რძალი სიგარეტს ეწევაო, ეს მისმა ქმარმა განსაჯოს. ის არის მსაჯული. თუ ვაჟიშვილი თავის სიმაღლეზეა, მის ოჯახში წესრიგი იქნება და ვერც ცოლი შეაბოლებს სახეში სიგარეტს.

თუ რძალი გეტყვის, თქვენს შვილს ესა და ეს ცუდი თვისება აქვსო, მოითმინე, იქნებ მართალიცაა. უნაკლო ვინ არის?

დედამთილებს მუდამ ეჩვენებათ, რძალი მეტისმეტად სჯის ბავშვებსო. თქვენ არ გიცემიათ შვილები? ამიტომ მოთმინება გმართებთ.

როცა დედამთილი საყვედურობს რძალს სიზარმაცეს, ქალიშვილი კი უარესი ჰყავს, უხერხულია და არც რძალი შეგარჩენს ამას. იყავი ორივეს მიმართ თანაბრად ობიექტური.

ზოგი დედამთილი გულდაწყვეტილია, ჩემს შვილს უკეთესი შეეფერებოდაო, ეს დიდი უტაქტობაა და თუ ერთხელ ჩააწვეთებ რძალს, თავის სიცოცხლეში არ დაგივიწყებს. ან რა გალაპარაკებს, როცა საქმე გადაწყვეტილია? რძალს ველარავინ შეგიცვლის, ურთიერთობა კი სამუდამოდ ფუჭდება.

ზოგი დედამთილი ჩხუბობს: ჩემი რძალი უყაირათოა, ტაფაზე ბევრ ერბოს ასხამსო. ამას ჩხუბი კი არა, მოთმინება და ტაქტიანი სწავლება გამოასწორებს.

თუ რამე გეწყინა, ბავშვივით ნუ გაიბუტები, სიბერეში მწარედინანებ. რადგან რძალთან ერთად შვილიშვილებსაც ჰკარგავ და შვილსაც დიდ უსიამოვნებას აყენებ.

დედამთილს მეტი გამოცდილება აქვს, ამიტომ შეიძლება რძალს შენიშვნა მისცე, რაიმე დაავალო, მაგრამ გაფრთხილ..ი, ტონი დედაშვილური უნდა იყოს.

თუ რძალს თავი ვერაფრით შეაყვარე და იმდენი კულტურაც არა აქვს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს თქვენთან, გაცლა სჯობია, თორემ დაიწყება ნამდვილი ომი და მერე გვიან იქნება.

ამას ვამბობთ დედამთილები, ვნახოთ რას იტყვიან რძლები...

ნელი გულია-ზაალიშვილი,
კასპის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— Memento mori — გახსოვდეს სიკვდილი! ლათინთა ეს გაფრთხილება ადამიანს მოახლოებული სიბერის ჟამს თუ ახსენდება მხოლოდ, ან ავადმყოფის სარეცელთან, დაკრძალვაზე და სასაფლაოზე... ყველა სხვა შემთხვევაში იგი ან სულაც არ ფიქრობს სიკვდილზე ან თავიდან იცილებს მასზე ფიქრს და ეს სულის ნორმალურ მდგომარეობაზე მეტყველებს. (სიკვდილზე აკვიატებული ფიქრი ავადმყოფობის ნიშანია)...

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ერთადერთი არსებაა ცოცხალ სამყაროში, რომელსაც შეგნებული აქვს სიკვდილის გარდაუვალობა, „საკუთარი სიკვდილისა მაინც ნაკლებად სჯერა" (ლამონტი „უკვდავების ილუზია") და რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, რომ სიკვდილი სიცოცხლის დიალექტიკური გაგრძელებაა და რომ ყოველდღიურად დედამიწის ზურგზე ასი ათასი ადამიანი კვდება, მას მაინც უჭირს საკუთარი სიკვდილის წარმოდგენა... „ყველაზე ჭეშმარიტი სიმართლეც კი უაზრო ხდება, თუ აღარ იარსებებს ვიღაცის მიერ ადამიანებში ჩანერგილი რწმენა მისი უკვდავების შესახებ... და ჩვენც ყველანი ამ მხსნელ ტყუილს ვემორჩილებით", წერდა ბონდარევი.

# „სიკვდილთან ჩვენი შემრიგებელი"

ჯერ კიდევ ძველ რომაელებს თვით სიტყვა „სიკვდილიც" კი ავის მომასწავებლად ეჩვენებოდათ და ფაქტის წინაშე დამდგარნი უპირატესობას ანიჭებდნენ გამოთქმას — „ის აღარ არის ცოცხალი". გერმანელები ამ შემთხვევაში „აღესრულას" ამბობენ, ხოლო ინგლისელები ამჯობინებენ: „ის უმრავლესობას შეუერთდა". ქართველებსაც აქვთ ამ მოვლენის აღსანიშნავი იმედიანი სიტყვა „გარდაიცვალა"... იმედიანი კი ის იმდენად არის, რამდენადაც არა გაქრობას, არამედ ცვალებადობას აღნიშნავს... ამ სიტყვაში ქვეცნობიერად ჩაიდო აზრი „დაბადებისა და სიკვდილის მონაცვლეობის" შესახებ — „ადამიანი სხეულის ფლობილ სახიერებიდან არასახიერში გადადის, რათა კვლავ განსხეულებული მოგვევლინოს" მაშ თუ ასეა, „კაცთა მოდგმა რად მწუხარებს სიკვდილის გამო?" იმად, რომ სიკვდილის წინაშე შიშის უქონლობა ეწინააღმდეგება თვით სიცოცხლის სიყვარულს და მისი დაძლევა მხოლოდ ძლიერი სულის ადამიანებს თუ ძალუძთ... მართლაც, არაფერი ისე არ აძრწუნებს ადამიანს, როგორც ის, რასაც სიკვდილის აჩრდილი ახლავს თან... მხოლოდ მას შეუძლია შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინოს არა მარტო მაყურებელზე, მსმენელზეც და მკითხველზეც... მას შესწევს უნარი აიძულოს ადამიანი სხვა თვალით შეხედოს ცხოვრებას... ერთგან: „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო", მეორეგან — „შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე შეგნობს შენითა" (ვაჟა) ან იქნებ მართლა შიშია მიზეზი იმისა, რომ ადამიანმა ირწმუნა „უკვდავი სულის" არსებობა და შესაბამისად საკუთარი სულის უკვდავება... იტალიელი მწერლის დინო ბუცატის მოთხრობაში „შვიდი სართული" ავადმყოფები, იმისდა მიხედვით, რამდენად უარესდებოდა მათი მდგომარეობა, ჩაჰყავდათ თითო სართულით დაბლა... (რათა უკეთმყოფთათვის მათი ცქერა აერიდებინათ). პირველი სართული მომაკვდავთათვის იყო განკუთვნილი... ამ მოთხრობაში ოსტატურად არის ნაჩვენები, თუ როგორ კლავს ადამიანს არა მარტო ავადმყოფობა, არამედ შიშიც...

ამბობენ, გემის კატასტროფის დროსაც ადამიანები იმაზე უფრო ადრე იღუპებიან, ვიდრე მათ წყლისა და საკვების უქონლობა მოკლავდეთ... სიკვდილის მიზეზი აქაც შიშია...

ამიტომაც არის — „ცოცხალიაო" იმ კაცზე ითქმის, ვინც სიკვდილს ეგებება და არა იმათზე, ვინც დღემუდამ მის მოსვლას ძრწოლვით ელოდება... ამ დროს მართლაც „მოთავებული სიკვდილი სჯობია, გაუთავებელ მოლოდინს". ამგვარი შიშის დაძლევის სურვილმა, კაცობრიობის წინაშე დააყენა ამოცანა „სიკვდილის სწავლის" შესახებ... „ვინც ადამიანს სიკვდილს ასწავლის, ის ასწავლის სიცოცხლესო", ამბობდა მონტენი... მთელ რიგ ქვეყნებში ცდილობენ სიკვდილისა და კვდომის საკითხების აღქმისათვის ბავშვობიდანვე მოამზადონ ადამიანები...

არა მარტო სხვადასხვა ასაკის, არამედ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებიც კი (გენეტიკურად განპირობებულ ფსიქიკური წყობის გამო) განსხვავებულად აღიქვამენ სიკვდილს...

ფ. გ. ლორკა ამბობდა: ესპანეთში მკვდარი უფრო მეტად მკვდარია, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში დედამიწის ზურგზეო... ქართველები იმ ხალხთა რიგს ვეკუთვნით, რომლებიც შედარებით ძნელად ურიგდებიან სიკვდილს. (გავიხსენოთ რარიგ განსხვავდება ჩვენი გლოვა რუსი ერის გლოვისაგან).

გერმანიაში გამოკითხულ ადამიანთა 60 პროცენტს სურს იცოდეს სიმართლე საკუთარი აღსასრულის ვადის შესახებ... ხოლო როცა ზიგმუნდ ფროიდს ექიმმა შეატყობინა, რომ კიბო სჭირდა, მრისხანედ ჩაილაპარაკა: „ვინ მოგცათ უფლება ეს ჩემთვის გეთქვათ"... ქართველებისთვისაც საშინელებაა ილუზიას მოკლებული ამგვარი ცოდნა.

განუკურნებელი სენით შეპყრობილ ადამიანთა მაგალითზე მრავალი მეც-

რალი ცდილა გაეანალიზებინა სასიკვდილოდ განწირულთა ფსიქოლოგია, გარდუვალობის მდგომარეობაში მეტამორფოზა პიროვნებისა, რომელმაც უკვე შეიგნო წარმავლობა და ამაოება....

ამის მაგალითები კლასიკურ და თანამედროვე ლიტერატურაში მრავლადაა.

დაკვირვებებმა კიდევ ერთხელ ცხადყო ჭეშმარიტება, რომ „ადამიანები ზუსტად ისე კვდებიან, როგორც ცოცხლობენ“ და რომ თითოეული ჩვენგანი „ზუსტად ისეთსავე სიკვდილს იმსახურებს, როგორიც სიცოცხლით მოვიპოვეთ“.

ამიტომაც არის, რომ სიკვდილი თუმცა ყოველთვის სიკვდილია, მაგრამ ზოგთან ის დროშის ფრიალით მიდის, ზოგს კი ტანჯულსა და ღირსებააყრილს ამოართმევს სულს.

— „მე მინდა ჩემმა სიკვდილმა ისეთი არაფერი თქვას, რაც სიცოცხლეში არ მითქვამს“. (მონტენი) ამ ანგარიშით: „ბრძოლის ჟინით ატანილნი ილუპებიან ერთიანად, ისეთივე ბრმა ჟინითა და არაჩვეულებრივი სისასტიკით, როგორიც ბუნების შურისძიებას სჩვევია“. გავიხსენოთ ორჯონიკიძის, ბერიას... და თუნდაც სააკაძის სიკვდილი ან კაენის მოლოდინი — „ყოველმან ჩემმა მპოვნელმან მომკლას მე“...

დღემდე არ წყდება დავა (თუმცა ქრისტიანულ სარწმუნოებას ამაზე ცალსახა პასუხი აქვს) — ვაჟკაცობად, სიმხდალედ თუ დანაშაულად ჩაითვალოს თავის მოძულება და „ნებით“ ხელყოფილი სიცოცხლე...

სილარიბით, ავადმყოფობით, ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვით, „სიკვდილის შუქით განათებული“ ცხოვრება ზოგიერთათვის მართლაც პრობლემად ქცეულა — „რა, არ გინახავთ, ცხედარს წასვლა რომ უხაროდა, და თავის ხელით რომ იბნევდა საკინძის ღილებს?“ (სამადაშვილი).

თუმცა ერთი კი ფაქტია, სიკვდილის მიმართ იმუნიტეტი (შეგუება) არ არსებობდა და არც იარსებებს...

ბევრი ვარაუდობს, რომ როცა კვდება მძიმე, ქრონიკული სენით დაავადებული ადამიანი, ის შემზადებულია ამისთვისო (ის არა, ახლობლები — კი)... ეს ადამიანები გაივლიან რა გარდაუვალისადმი შინაგანი „წინააღმდეგობისა და დეპრესიის ყველა სტადიას... ბოლოს და ბოლოს შედარებით მშვიდდებიან. (ეს არ არის იმუნიტეტის გამომუშავება). სიკვდილში „შვების“ შეგრძნება ან ჭეშმარიტ მორწმუნეთა ან უკიდურესად გაჭირვებულთა ხვედრია...

ფრანც კაფკას. ხორხის ტუბერკულოზი სტანჯავდა და რადგანაც მას არ სურდა ეს ტანჯვა ენახათ, ექიმს თითქმის უბრძანა: „მომკალით, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ბოროტმოქმედი იქნებით.“ — ამ შემთხვევაში სულით ძლიერი ადამიანის ნებაა განცხადებული... ხდება ისეც, რომ ადამიანის ცხოვრებაში დგება ასაკი, როცა სიკვდილი ისეთივე მოთხოვნილებაა, როგორც ძილი... თუმცა ესეც ინდივიდუალურია. ექიმ ელპშტეინს მოყავს მაგალითი, თუ რა გააფთრებით ებრძოდა სიკვდილს და როგორ იტანდა მკურნალობის ყველა სიმძიმეს 113 წლის ქალი... თუმცა ექიმი მისი ბიოგრაფიის შესახებ არაფერს გვამცნობს, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ქალბატონი უთუოდ მშრომელი და მრავალრიცხოვანი მონაგარის პატრონი იქნებოდა...

დიდებული ადამიანები კი, დიდებულად ეთხოვებიან სიცოცხლეს, რადგან; „ჩვენ იმ რიტმში, იმ ვითარებაში, იმგვარადვე ვეყრებით სიცოცხლეს და გადავდივართ სიკვდილში, როგორც ვეგებებოდით სიცოცხლის ახალ-ახალ სიტუაციებს ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე“... ფრანსუა რაბლეს უკანასკნელი სიტყვები იყო: „მე მივემგზავრები დიადის საძებნელად... დაუშვით ფარდა, კომედია გათამაშებულია...“

ამბობენ, ბატონი კონსტანტინე გამსახურდია რაინდთა წესით — ფეხზე ამდგარი შეეგება სიკვდილსო...

ფიზიოლოგი პავლოვი უკანასკნელ წუთამდე კარნახობდა ასისტენტს თავის შეგრძნებებს და როცა ვიღაცამ დააკაკუნა, გაღიზიანებულმა გასძახა: „პავლოვი დაკავებულია, პავლოვი კვდება!“.

არსებობს ერთი მეტად საინტერესო დაკვირვება... ის ადამიანები, რომლებსაც ხანგრძლივი დროის მანძილზე ბუნებასთან აქვთ ურთიერთობა და შეუძლიათ ჩასწვდნენ მის რიტმს — სიკვდილს აღიქვამენ, როგორც არსებობის სხვაგვარ დონეს — „მწამს, მარად მიწამებია მუდმივ სიცოცხლე სულისა“... (ვაჟა).

გენეტიკის ფუძემდებელმა გრიგორი მენდელმა მკაფიო და მშვიდი სიბრძნე გვაუწყა, როცა აღსასრული შეიგრძნო: „ბუნებრივი გარდუვალობა“...

უკანასკნელ პერიოდში რეანიმაციისა და ტრანსპლანტაციის შესაძლებლობებმა თვით სიკვდილსაც შეუქმნეს პრობლემა...

ამიტომაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ერთ-ერთ გამოცემაში (1982) დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ ადამიანს უნდა მიეცეს „ღირსეულად სიკვდილის“ უფლება (მედიცინის ჰუმანიზმი შეცვალოს რაციონალიზმმა).

— განა საჭიროა „გააცოცხლო“ უსიცოცხლო ბავშვი, თუკი იცი, რომ ის მომავალში არასრულფასოვანი იქნება? დღეს მილიონობით ადამიანი ითხოვს ამაზე პასუხს... მაგ. აშშ-ში გულის მუშაობა აღუდგინეს 15 წლის გოგონას და მან კიდევ 8 წელიწადი „იცოცხლა“ პარალიზებულმა, უსინათლომ (საჭმელსაც ზონდით აძლევდნენ)... ფრანგებმა ამ მოვლენას მუმია უწოდეს, რომელსაც გული უცემს...

ბევრ ავადმყოფს, რომლებიც კლინიკური სიკვდილის მდგომარეობიდან გამოიყვანეს, უთხოვია ექიმებისათვის მომავალში ასეთი ზომები არ მიეღოთ...

თვით ცნობილმა ბარნარდმა წამებისაგან იხსნა დედა, როცა ჩათვალა, რომ ყველა სხვა შესაძლებლობა ამოიწურა...

ამ ფონზე რა საზარელია იმის გაფიქრება, რომ სრულიად საღი და ჯანმრთელი ადამიანები „ულირსი სიკვდილისათვის“ სწირავენ თავს... კაცს რომ შური მოკლავს, მექალთანეს — საყვარლის ქმარი, მოძალადეს-კანონი და ა. შ. ამას ულირსი სიკვდილი ჰქვია...

სიკვდილი აუცილებლობის წიაღიდან ამოდის და ეს აუცილებლობა მის ღირსეულ დახვედრას, ცოდვისა და ბოროტების დათრგუნვას ჩაგვაგონებს. რამეთუ „სიკვდილი ცოდვილთა ბოროტ არს“... ხოლო „ვინც ქრისტესთან ერთად მოკვდა, კეთილ სიკვდილს ეზიარა, რადგან მოაკვდინა რა საკუთარი ცოდვები, კეთილი და მხსნელი სიკვდილით აღესრულა“... უფალი გვეუბნება: „მე წარმოგიდგენ შენ სიცოცხლესა და სიკვდილს და შენ სიცოცხლე აირჩიე“... მაშასადამე, ადამიანი თვითონვე მონაწილეობს საკუთარი „სულის ცხონებაში“ ან დალუპვაში... ის, ვინც ხორცს ცოდვის მსახურად აქცევს და სულზე არ იზრუნებს, თავის თავს ბოროტ სიკვდილს უმზადებს.

რაკი ფიზიკური უკვდავება არ არის ადამიანის ხვედრი, ამ ხანმოკლე სიცოცხლეშივე მოპოვებული ამაღლებულობით, კეთილი და საგმირო საქმეებით თუ შესძლებს მხოლოდ გაიხანგრძლივოს სააქაო ცხოვრება (ხსენება)... და „სულის ცხონებით“ დაიმკვიდროს სასუფეველი თვისი, მითუმეტეს, თუკი ლამაზად გატარებული სიცოცხლის ჯილდო ლამაზი სიკვდილი იქნება... რწმენა ყველაფერი ამისა კი უნდა შეიქნეს „სიკვდილთან ჩვენი შემრიგებელი“...

მანანა კეიდია,
ექიმი გენეტიკოსი.

# აღორძინების იმედის სიმბოლოდ



ამ პატარა სალონში სულ ახლახან სიცოცხლე ჩქეფდა. აქ შემთხვევით მოხვედრილი კაციც კი მაშინვე მიხვდებოდა, რომ ეს ბინა ხელოვნებით სუნთქავდა და სულდგმულობდა.

ქ-ნი მედეა გაბუნია, ამ სალონის დიასახლისი, წლების მანძილზე ზ. ფალიაშვილის სახელობის საოპერო თეატრის სოლისტი გახლდათ, შემდეგ კი უკვე კონსერვატორიის პროფესორი ვოკალისტთა თაობების აღზრდას ემსახურება.

ბევრი განსაცდელი გადაუტანია ქალბატონ მედეას, მაგრამ სიმხნევე არ დაუკარგავს. უბერებელი მანდილოსნის ეს თვისება ხიბლავდა მის მრავალრიცხოვან მეგობრებსა და მოწაფეებს და არავინ ფიქრობდა, თუ მას რაიმე გატეხავდა, მაგრამ დეკემბერ-იანვრის ტრაგედიამ ქ-ნი მედეა გაბუნია უსახლკაროდ დატოვა.

ჩაფერფლილი ფანჯრები ცრემლდამშრალი თვალებივით მოჩანს თავისუფლების მოედნის კუთხეში, ცნობილი სანაყინეს თავზე. ცეცხლმა შთანთქა ყველა ის ფოტო და ფერწერული სურათი, რაც მარტო სალონის დიასახლისის სიამაყე კი არა, გარკვეული თვალსაზრისით, ქართული ხელოვნების მატიანის ნაწილი იყო.

არ იყო ადვილი მეცხრე ათეულ წელში გადამდგარი ქალბატონისათვის წარსულთან ასეთი უცერემონიო დამშვიდობება, მაგრამ დახეთ, ქ-ნ მედეას ეყო ძალა სულიერად არ დაცემულიყო.

ამდენი განცდების გადატანის მიუხედავად თავს არ ზოგავს და დიდი მონდომებით ამეცადინებს თავის მოსწავლეებს სასტუმრო „აჭარაში", სადაც მეგობრებმა დროებით ჩაასახლეს. ახლახან კონსერვატორიის მცირე დარბაზში კონცერტი ჩაატარა მისმა მოსწავლემ ნაირა ნაჩხატაშვილმა. ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისში" მაროს პარტია შეასრულა მზია დავითაშვილმა, სულ მალე იმღერებს ბიძინა ჯახუტაშვილი.

ჩვენ გვწამს ისევ აღდგება ხელოვნების პატარა სალონი თავისუფლების მოედანზე ჩვენი აღორძინებული იმედის სიმბოლოდ.

**დალი ნიჟარაძე-დონაძე**



# ყველა ქალმა უნდა იცოდეს

**რომ სარძევე ჯირკვლის დაავადების დროული დიაგნოსტიკა სიცოცხლის გახანგრძლივების უტყუარი შესაძლებლობაა.**

სარძევე ჯირკვლის პათოლოგია ძალზე გავრცელებულია, რაც დაგვიანებული დიაგნოზის შემთხვევაში უმეტესად სავალალოდ მთავრდება. ხშირია დისჰორმონიული დაავადებები ანუ მასტოპათიები და სხვადასხვაგვარი სიმსივნეები. მასტოპათიას ზოგჯერ მტკივნეულ ძუძუს უწოდებენ. უფრო ხშირად ავადდებიან ქალები 35 წლამდე, რომლებსაც არ უმშობიარიათ, რომლებიც ნაადრევად წყვეტენ ორსულობას ან სისტემატურად იყენებენ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს. მისთვის დამახასიათებელია სარძევე ჯირკვლის დაჭიმულობა, უსიამოვნო შეგრძნებებით, ზოგჯერ ძლიერი ტკივილი მენსტრუაციის წინა დღეებში. ტკივილის გადაცემა ხდება მხრების არეში, ბეჭებში, ღვრილიდან კი შეიძლება იყოს გამონადენი.

არსებობს მასტოპათიის კვანძოვანი ფორმაც, რომელიც 35 წელს გადაცილებულ ქალებში შეინიშნება. ამ დროს სარძევე ჯირკვალში ისინჯება სხვადასხვა ზომის მკვრივი წარმონაქმნები, ზოგჯერ ზონრებიც, დვრილიდან გამონადენი. კეთილთვისებიანი სიმსივნეები — ფიბროადენომები უფრო ხშირია 21-25 წლის გაუთხოვარ ქალებში. ამ დროს სარძევე ჯირკვალში ისინჯება ერთი ან რამდენიმე მკვრივი, უმტკივნეულო წარმონაქმნები. ამის მიზეზი ჰორმონალური მოშლილობაა.

სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნეები სიხშირით მეორე ადგილზეა. იგი უვითარდებათ ქალებს კლიმაქსის წინ, ან კლიმაქსის პერიოდში, ზოგჯერ — უფრო ახალგაზრდებსაც. მიზეზი აქაც ჰორმონალური მოშლილობაა. ავთვისებიანი სიმსივნით უმეტესად ავადდებიან ისინი, რომელთაც არ უმშობიარიათ, არ ჰქონიათ ნორმალური ლაქტაცია, ანდა აწუხებთ კეთილთვისებიანი სიმსივნე ან მასტიტი.

გამოკვლევის თანამედროვე მეთოდებიდან ყველაზე პოპულარულია თერმოდიაგნოსტიკა, სპეციალური აპარატის მეშვეობით ხდება ადამიანის სხეულიდან ანარეკლი ინფრაწითელი სხივების ფიქსაცია ეკრანზე, რაც ყველა ზემოთჩამოთვლილი დაავადების ნაადრევი დადგენის უტყუარი საშუალებაა. ამავე მეთოდით ვამოწმებთ ნაოპერაციებ ავადმყოფებსაც, რათა არ გამოგვეპაროს ახალი რეციდივი. ზოგმა შესაძლოა არც იცის, რომ ეს თანამედროვე მეთოდებით გამოკვლევა ტარდება თბილისში, ამიერკავკასიის რკინიგზის რეგიონალურ სამეცნიერო კვლევით კლინიკო-დიაგნოსტიკურ ცენტრში.

ნუ დაკარგავთ ჯანმრთელობის შენარჩუნების ამ უნიკალურ შანსს.

**ლია ახალაძე, დალი რაზმაძე,**
ექიმი-თერმოდიაგნოსტები.

# მკითხველის წერილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით გვანან ერთმანეთს ჩვენი მკითხველების ის წერილები, რომლებიც დღეს თქვენს სამსჯავროზე გამოგვაქვს და თქვენი აქტიური გამოხმაურების იმედი გვაქვს?

ყველა მათგანში გაცრუებულ იმედზე, დამსხვრეულ სიყვარულზე, დანგრეულ ოჯახზე მოგვითხრობენ ახალგაზრდა ქალები.

თქმა არ უნდა, ყველაში ადამიანური ტრაგედია ტრიალებს, ყველას სული აწრიალებულია და შველას საჭიროებს.

ძვირფასო ქალბატონებო, უფრო მეტად კი პატივცემულო მამაკაცებო! ჩაერიეთ ამ ადამიანთა ბედში. მათთვის უდავოდ ყურადსაღები იქნება თქვენი აზრი, რჩევა, პოზიცია.

## მირჩევნია გაუთხოვარი დავრჩე...

სამი წლის წინ გავიცანი გოგა და პირველი ნახვისთანავე შემიყვარდა. ჩვენ ვისეირნეთ მთაწმინდაზე. სახლში რომ მიმაცილა, ტელეფონის ნომერი მომცა და მთხოვა დამერეკა. მეორე დღესვე მინდოდა დავლაპარაკებოდი, მაგრამ ნომერი დავკარგე, არც მისი მისამართი ვიცოდი. თვითონ კი რატომღაც არ მომძებნა, ან შეიძლება ვერ მომაგნო, ჩვენი სახლი მრავალსართულიანია.

ერთი წელი ვეძებდი გოგას. მასზე ფიქრი რომ შევწყვიტე, თითქოს ბედისწერააო, ტელეფონის ნომერი ვიპოვე. არც დავფიქრებულვარ, მაშინვე დავურეკე. შევატყე, არ ვახსოვდი. თავი რომ მოვაგონე, პაემანი დამინიშნა. ექვსი თვე ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. ჩემი არსებობა დედამისმაც გაიგო. როცა ვურეკავდი, ქალბატონი თინა ყოველთვის ასე მეუბნებოდა: შენ არ მინდიხარ, არც იფიქრო ჩემი რძლობაო. თუმცა ნანახი არ ვყავდი. მერე შვილიც წააქეზა და დიდხანს ველარ შევხვდი.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ დავურეკე. გოგამ ცოლი შევირთეო, მახარა. ისე გავმწარდი, იმ გოგოს სახელი გავიგე და მოსვენებას არ ვაძლევდი, ზოგჯერ ბიჭებსაც ვარეკინებდი, დედამთილთანაც ვლაპარაკებდი, მინდოდა შვილისთვის რძლის საყვედური ეთქვა, მაგრამ მისი არჩეული რომ იყო, გოგას ყველაფერს უმალავდა. ამით უფრო მაღიზიანებდა.

ისევ შევხვდი გოგას, თავი მოიკატუნა, ძალით მომიყვანეს ცოლი, მაგრამ მალე გავაგდებო. მას მარჯვენა ხელზე ნიშნობის ბეჭედი ეკეთა. ძალზე შეცვლილი და გულგაციებული მეჩვენა. სულ იმას მეხვეწებოდა, გათხოვდიო.

მე არ გავთხოვდები. ქმრის მოღალატე არ ვიქნები. მირჩევნია გაუთხოვარი დავრჩე და სიკვდილამდე გოგასთან ვიყო, როგორც მეორე ცოლი.

განა არ ვიცი, ცუდ გზას ვადგავარ, მაგრამ მისი ოჯახი უნდა დავანგრიო და ჩემი ბედნიერება მოვიპოვო.

თვრამეტი წლისაც არა ვარ, უკვე სიცოცხლე მომბეზრდა. ძნელი ყოფილა პირველი სიყვარული. მისი ჯადოსნური წრიდან ველარ გამოვდივარ, მიშველეთ რამე.

გულიკო ს.

თბილისი.

## ჩემი შვილი დედინაცვალთან იზრდება

რაიონში გავთხოვდი. მქონდა პატიოსანი ოჯახი, მყავდა საყვარელი მეუღლე, დედამთილი და მამამთილი. ტკბილად ვცხოვრობდით. დიდხანს ბავშვი არ მეყოლა. მკურნალობის შემდეგ გოგონა შემეძინა.

გახარებულმა დავიწყე მისი გაზრდა. ყველაფერი თავის გზით მიდიოდა, მაგრამ ნელ-ნელა აღმოვაჩინე, რომ მეუღლე სახლში გვიან ბრუნდებოდა, ამრეზით მიყურებდა, ნანატრ ბავშვსაც არ ეფერებოდა. ვგრძნობდი, რაღაც ხდებოდა, მაგრამ ჩვილი ბავშვის მოვლით ისე ვიყავი გადაღლილი, თავი არ მქონდა, მეუღლის ამბები მექექა.

ჭირმა თავი არ დამალა. მალე გაირკვა, ქმარი მღალატობდა და ქვრივ ქალთან დადიოდა. ეს სამარცხვინო ამბავი მთელმა რაიონმა იცოდა. მე რაც გავიგე, დედამთილ-მამამთილსაც შევატყობინე. ჩემდა გასაოცრად მათ შვილის მხარე დაიჭირეს. ახალმა ნამშობიარებმა ისე ვინერვიულე, ფსიქიურად ავიშალე. თურმე ჩემს მეუღლესაც ეს უნდოდა. მაშინვე მშობლებს ჩამაბარეს და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოვხვდი.

ექიმებს შევეცოდე და ყოველ ღონეს ხმარობდნენ ფეხზე დავეყენებინე. მართლაც ორ თვეში გამომწერეს, მაგრამ კატეგორიულად ამიკრძალეს ნერვიულობა და ღამისთევა.

ჩემი პატარა შვილი ისე მენატრებოდა, ჩემიანებს არ დავუჯერე და ქმრის ოჯახში დავბრუნდი. ისევ გოგონას მოვლა დავიწყე. მაგრამ მეუღლე არ მასვენებდა, შუაღამისას გამაღვიძებდა და წვრილმან საკითხებზე ნერვებს მიშლიდა. ჩემი თავიდან მოშორება უნდოდა. ვიცოდი, ვიღუპებოდი, მაგრამ სნეულებას ველარ ვუმკლავდებოდი. ისევ საავადმყოფოში მოვხვდი. სამი თვე ვიმკურნალე. იქიდან რომ გამოვედი, მშობლებმა ქმართან აღარ გამიშვეს. მათ უკვე იცოდნენ, რომ ულირსმა კაცმა ისარგებლა ჩემი მძიმე მდგომარეობით და სასწრაფოდ მოახდინა განქორწინება. რა თქმა უნდა, კანონმა შვილიც მას მიაკუთვნა და არა ავადმყოფ დედას.

ახლა ჩემი გოგონა დედინაცვალთან იზრდება. მე გამოჯანმრთელებული ვარ და ვფიქრობ შვილი დავიბრუნო, მაგრამ ჩემები არ მიშვებენ, ბავშვი გაიზრდება და შენთან მოვაო. ამ იმედით ვცოცხლობ.

მანანა ი.

თბილისი.

## რესპუბლიკის ქალთა საბჭოებში

რესპუბლიკის ქალთა საბჭომ ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან და მოწყალების ფონდთან ერთად მოაწყო სააღდგომო კვირეული, სადაც მოწვეული იყვნენ მარტოხელა ღვაწლმოსილი ქალბატონები.

სააღდგომო მილოცვამ და მცირედმა მოსაკითხმა გაახარა ისინი, რადგანაც დღეს არა მარტო მატერიალური, მორალური თანადგომაცაა საჭირო.

ბოლნისის რაიონის ქალთა საბჭო (თავმჯდომარე ქალბატონი ნათელა ხვანიძე) სისტემატურად ეხმარება მრავალშვილიან და ხელმოკლე ოჯახებს ფულით და კვების პროდუქტებით. მათ ეძლევათ რძე, შაქარი, კვერცხი და სხვა.

მარნეულის ხამთო-გამამდიდრებელ კომბინატში კი სამ და ოთხშვილიან ოჯახებს ეძლევათ 1000, ხუთ და მეტშვილიან ოჯახებს – 1500, ხოლო ახლად დაქორწინებულებს – 3000 მანეთი.

ქალთა საბჭოს ამ საქმეში რაიონის სამეურნეო ორგანიზაციები, წარმოებები ეხმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩინური სამზარეულო

## „ხუთი გემო“

ჩინურ სამზარეულოში ფიგურირებს ხუთი გემო: ტკბილი, მჟავე, მარილიანი, ცხარე და მწარე. ძველად ჩინელები თვლიდნენ, რომ თითოეული მათგანი დადებითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე:

ტკბილი ელენთას კუჭქვეშა ჯირკვალს, მჟავე — ნაწლავებს, ცხარე — ფილტვებს, მწარე — გულს, მარილიანი — თირკმელებს.

## საკვები, როგორც წამალი

ძველ დროში მცოდნე ექიმი როცა დიაგნოზს დასვამდა, მკურნალობას დიეტით დაიწყებდა, თუ ეს არ მოქმედებდა, მხოლოდ ამის შემდეგ წერდა წამალს.

ჩინურ კარაბადინში, რომელიც მე-14 საუკუნეშია დაწერილი, ნათქვამია, რომ მარილიანი საკვები ხელს უწყობს სისხლის ხწრაფ მიმოქცევას. ამიტომაა იგი საზიანო იმისთვის, ვისაც სისხლის მიმოქცევა დარღვეული აქვს.

ტკბილი უარყოფითად მოქმედებს კუნთებზე, მჟავე კი — სისხლძარღვთა სისტემაზე. ხოლო ვისაც გული აწუხებს, სასურველია პარკი ლობიოს ჭამა. ცარიელ კუჭზე ჩაის დალევა ორგანიზმისთვის მეტად მავნებელია.

ცხელი საჭმლის მიღების შემდეგ ერიდეთ გამკრავ ქარში ყოფნას, სადილის ან სამხრის შემდეგ კი, არ დაიბანოთ თავი და ერიდეთ სქესობრივ კავშირსაც.

## ჩინური სამზარეულოს ძირითადი თვისებები

ტრადიციული ჩინური სამზარეულო იყოფა „ჩჟუში“ — ძირითად პროდუქტებად, რომელშიც შედის ბრინჯი, ატრია, მაკარონი და სხვა ბურღულეული და „ფუში“ — დამატებად, აქ შედის ხორცი, თევზი და ბოსტნეული.

ჩინური სამზარეულო წარმოუდგენელია ბრინჯისა და სოუსების გარეშე. ცნობილია სოიისა და ხილის სოუსები, რომელიც ძირითადად ატმის, გარგარის, ძმრისა და შაქრისაგან მზადდება. ამ სოუსს ჩინელები შემწვარ ბატთან და იხვთან ერთად მიირთმევენ. ჩინური მაგიდა სავსეა წითელი წიწაკით შეკაზმული კერძებით, ხოლო ხამანწკის სოუსს მხოლოდ სამხრეთ ჩინეთში მიირთმევენ.

ჩინელი მზარეული კერძისთვის ბლომად იყენებს ისეთ არომატულ სანელებლებს, როგორიცაა ჯანჯაფილა, ქუნჟუტი და „ვეისუ“ — თეთრი სურნელოვანი კრისტალები.

## ეგზოტიკური კერძები

ეგზოტიკური კერძები მზადდება ზვიგენის ფარფლის, არომატული კვერცხების, ბაყაყების, გველებისა და ჭიებისაგან.

ზვიგენის ფარფლს აშრობენ და ისე ხმარობენ. იგი წვნიანი კერძების მთავარ კომპონენტს შეადგენს.

ჭიებისგანაც სხვადასხვანაირი კერძი მზადდება. ჩინელებს უყვართ აგრეთვე, არომატული (შავი) კვერცხებისაგან, მომზადებული კერძი. რომლისთვისაც ნარჩევ კვერცხებს გარშემო თიხით ლესავენ და ოთხი კვირით ორმოებში ფლავენ, რომ შემდეგ მისგან გემრიელი საჭმელი ჯამოვიდეს.

ჩინელები დელიკატესად მიიჩნევენ აგრეთვე, ბაყაყებისაგან დამზადებულ წვნიანს.

მოამზადა

**ნინო ლორთქიფანიძემ**

ჟურნალი „თაიმ“



## კროსვორდი

**თარაზულად:** პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი ჭადრაკში. 5. სამწვადე ხორცი. 7. ცნობილი საოპერო მომღერალი ქალი. 10. პურეულის სალეწი ძველისძველი იარაღი. 11. ერთმანეთში შეგროვებული ფულით პურის ჭამა, ქეიფი. 14. მდინარის, ტბის პირებზე გავრცელებული მცენარე. 16. ყველაზე დიდი და საუკეთესო გემი ნაოსნობაში. 18. ფილმის „რომი ღია ქალაქი“ გადამღები იტალიელი კინორეჟისორი. 20. პუჩინის ოპერა. 21. ა. ტოლსტოის პოემა. 22. დიპლომატურ წარმომადგენლობასთან მყოფი თანამდებობის პირი. 23. ძველინდური ეპიკური პოემა. 25. ბოსტნეული მცენარე. 27. ბალახოვანი დეკორატიული მცენარე. 29. ადმინისტრაციული ორგანო. 31. დიდი ბოთლი. 32. ხარების ბრძოლის ცხენოსანი მონაწილე. 33. ჩალმა. 34. ვერდის ოპერა „ტრუბადურის“ პერსონაჟი.

**შვეულად:** 1. ტკბილ წვენში მოხარშული ხილეული ან ზოგი ბოსტნეული. 2. ბერძენი საესტრადო მომღერალი. 3. ზ. ფალიაშვილის ოპერა. 4. მსხვერპლად შესაწირავი საკლავი. 6. წრის ერთი შემოვლა ვალსსა და ზოგ სხვა ცეკვაში. 8. ხუთხის, ორაგულის ან ზოგი სხვა თევზის ლორად გამოყვანილი გვერდი. 9. ქართველი მოჭადრაკე ქალი. 10. ერთგვარი კაფე. 12. გერმანიის პარლამენტი მეხამე მსოფლიო ომამდე. 13. ტკივილდამაყუჩებელი და ძილისმომგვრელი საშუალება. 15. ფილმ „არსენაში“ მართას როლის შემსრულებელი მსახიობი. 17. აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი. 19. საბერძნეთის სახელწოდება ბერძნულ ენაზე. 24. ქსოვილი. 26. რამდენიმე ხუთხაზიანი სანოტო სისტემის შემაერთებელი ფრჩხილი, კავი. 28. წრე, რკალი. 29. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში. 30. ნებისყოფის სისუსტე. 31. რელიგიური დღესასწაული.

შეადგინა **ციალა ამაშუკელმა**



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები:
რედაქტორის
99-98-71;
პ. მგ. მდივნის
99-71-68;
ცნობებისათვის
98-95-79.

მასალები გადაეცა ასაწყობად 7. 05. 92. წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 07. 92 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8. ტირაჟი 63 000. შეკვ. 748.

# თბილისელები ოხუნჯობენ

თბილისელ მოქანდაკეს პროფესორ თემო ჭყონიას საოცარი იუმორის გრძნობა აქვს. ეს საუბრები ნატურიდან გახლავთ ჩაწერილი.

* * *

აბესალომ ლორიას 70 წელი შეუსრულდა. შუა ქეიფში ცოცხალი თევზი შემოიტანეს. თემო ჭყონიამ კახარებულმა წამოიძახა: „ვაჰ, არ გამიკვირდა, აბესალომის ცოლმა რომ მითხრა: დროზე მოდი, რომ ცოცხალს მოუსწროთო. მეც ადრე მოვარდი, ვიფიქრე, ფარსაგი ხომ არაფერია-მეთქი. ახლა მივხვდი: თურმე ამ ცოცხალზე იყო ლაპარაკი.

* * *

თემოს სიმამრი გარდაეცვალა. აკადემიის თანამშრომლები მთელ დღეს იქ ტრიალებდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ჰკითხა:

– ბატონო თემო, რომელ საათზე მოვიდეთ პანაშვიდზე?

– რა ვიცი მიცვალებული აქ არის. ჭირისუფლებიც აქ ვართ და თუ მუსიკის მოსმენა გინდა, 7 საათზე ჩავრთავთ.

* * *

თემო ჯანმრთელობას უჩიოდა, ხშირად ავადმყოფობდა და ამიტომაც სმას და თამბაქოს მოწევას ერიდებოდა. ერთ დღეს მივიდა მისი ნათესავი და შესჩივლა: ოთარი ძალიან სვამს, შენი სჯერა და რამე უთხარიო. თემომაც არ დააყოვნა. აკრიფა ოთარის ნომერი და უთხრა:

– ოთარ, ძალიან გთხოვ ნუ დალევ და ეცადე რეჟიმი დაიცვა გაუფრთხილდი თავს, ხომ ხედავ მე როგორ რეჟიმში ვარ და სულ ავადაც ვარ.

– ამიტომ დავარეკინე, რომ ეგ გეთქვა? – განაწყენდა მანდილოსანი.

– კაცო, თუ ერგება დალიოს და დრო ატაროს, ნეტავ მეტი რა შერჩება? – ამოიოხრა თემომ.

* * *

თემო ჭყონიამ აბესალომ ლორიას ბიუსტი გააკეთა. როდესაც ბრინჯაოში ჩამოასხა, დაურეკა და უთხრა: – ბიუსტი მზად რის. ახლა წადი და საფლავი ეძებეო.

* * *

თემოს ლიფტში შესვლა სძულდა. ერთ დღეს იძულებული იყო მეუღლესთან ერთად ზედა სართულზე ლიფტით ასულიყო ერთ-ერთ საავადმყოფოში. თან ანალიზები მიჰქონდა. მოულოდნელად ლიფტი გაჩერდა. თემო გამწვანდა. ცოლმა შეამჩნია და გაამხნევა. – კაცო, რას გაფუჭდი?

– მე კი არა, ეს ანალიზები გაფუჭდება და ამიტომ ვნერვიულობო. – მიუგო თემომ

* * *

სამხატვრო აკადემიის რექტორმა აპოლონ ქუთათელაძემ თემოს სთხოვა. შავი მუშა მომიყვანეო ცოტა ხნის შემდეგ ბ-ნ აპოლონთან თემოს მეუღლე, ქალბატონი პეპელა შევიდა. – რას მიბარებდით? – იკითხა მან. ამ დროს კაბინეტში თემო შემოვიდა და გაკვირვებულ აპოლონს აუხსნა: თქვენ არ მითხარით, შავ მუშას დაუძახეო? ამაზე შავი ვერავინ ვნახეო.

თემოს მეუღლე – პეპელა შავგვრემანი, სიმპათიური ქალბატონი გახლავთ.

* * *

ქალბატონი პეპელა საწოლ ოთახში შევიდა კაბა გადაიძრო. ამ დროს თემოც შემოვიდა ოთახში. პეპელა კარადას მიეფარა: – ქალო, რას შვრები, მე ძემალები და ფანჯარა რომ ღიაა, იმას ვერ ხედავ? ვინმე დაგინახავს, მე ვეგონები და იტყვიან თემო რა შავი ქოფილაო

* * *

1992 წლის იანვარში ქალაქში ხშირად არ იყო სინათლე. თემო შემომხვდა და მოვიკითხე

– რა ვიცი. მოსალამოვდება, თუ არა, პეპელას ვეღარ ვხედავ ხომ იცი, შავია და სიბნელეში არ ჩანს.

* * *

ხორცის ტალონების მოქმედების დროს თემოს შვილიშვილი შეეძინა. როდესაც ვკითხეთ ბიჭი იყო თუ გოგო. გვიპასუხა: – გოგოა. ისიც წონით პატარა. ბიჭისათვის ტალონი არ გვქონდა.

ჩაიწერა

**დალი ნიჟარაძე-დონაძემ.**



გეხმის, ქალო? უნდა დამებედეს!..

მხატვარი
ამირან ერაძე

6166/70.

ინდექსი 76178

თბილისის
მესამე გიმნაზიის
მოსწავლემ, მსოფლიო
ჩემპიონმა 16 წლამდე ასაკის
მოჭადრაკე გოგონათა შორის, ოსტატმა ნინო
ხურციძემ ევროპის ჩემპიონის ტიტული
მოიპოვა 20 წლამდე ასაკის გოგონათა შორის.



„საქართველოს ქალი"
უსურვებს მას ახალ წარმატებებს
ქართული ჭადრაკის
სადიდებლად!

ფასი 5 მანეთი